რევაზ ბაბაზოვი

K 24 846 / 2

162

ეკ.1.

ზემპარიას შეკანასკნელი სიტყვა

1931

ახალგაზრდა გამოცემლობა

8CГ=3

გერცელ გაააზოვი

შემარიას უკანასკნელი სიტყვა

К24.846/2

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1921

72 ფ. (19×13) (9.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲐᲕᲨᲚᲘᲡ-2000
ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

სტამბა პოლიგრაფსკოლისა, შეკ. 2461, მთავლ. 1736, ტ. 5000

7ᲒᲒ 1862 ᲒᲛ

წინასწარ „შემარიას უკანასკნელ სიტყვა“-ზე

რეკონსტრუქციის პერიოდში მეტად სერიოზული ამოცანები დგას მწერლობის წინაშე. ჩვენ თუ დღეს პროლეტარულ მწერლებს ვუყენებთ ამოცანას იმის შესახებ, რომ მათმა მხატვრულ ტილოებზე უნდა მოგვცენ ჩვენი მშენებლობა, ჩვენ არა ნაკლებ ამოცანებს ვუყენებთ საბჭოთა მწერლებს, რომლებსაც გულწრფელად სურთ ჩვენთან მოსვლა. ჩვენს ეპოქას, საკოლმეურნეო მშენებლობას და საერთოდ კი ჩვენს ბრძოლას სოციალიზმისათვის ესაჭიროება მხატვრულ ტილოებზე გადატანა. ჩვენ უნდა დავინახოთ მხატვრულ ტილოზე, ღარიბი და საშუალო გლეხი საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე, უნდა ვნახოთ, თუ როგორ გვებრძვის კლასობრივი მტერი, და აგრეთვე ჩვენ უნდა ვნახოთ იქ ხუთწლედის გმირები,—ყოველივე ეს კი მწერლობამ უნდა შესძლოს.

ამ მიმართულებით შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ქართულ მწერლობას (ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ პროლეტარულ მწერლობას კ. მ.) ბევრი არაფერი გაუკეთებია. აუცილებლად მისასალმებელია ის გარემოება, როდესაც მწერალი გერცელ ბააზოვი სწერს ისეთ ნაწარმოებს, როგორიც მისი „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“-ა. აღნიშნული მოთხრობა ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდანაა. მასში მოცემულია ებრაელთა კოლექტივის სურათი, რომელიც მეტად დამაჯერებლათაა გაკეთებული.

საკოლმეურნეო მშენებლობის დროს ჩვენ გვიხდება გლეხის გარდაქმნა—მან უნდა უარყოს ძველი რამდენიმე ათეული საუკუნეებით შემუშავებული კერძო მესაკუთრის განწყობილებები. ჩვენ ვიმარჯვებთ და სწორედ ჩვენს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვების შესახებ ლაპარაკობს საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე გ. ბააზოვის ნაწარმოები — „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“.

აღნიშნული ნაწარმოები ჩვენ სინამდვილეში პირველი ცდაა მშრომელ ებრაელთა კოლექტივის მოცემის მხრივ. ამოცანა, რომელიც ავტორის წინაშე იდგა, აუცილებლად გადაჭრილია. უნდა ითქვას გარკვევით, რომ გ. ბააზოვმა მეტად საღად და დამაჯერებლად მოგვცა ღარიბ ებრაელთა ბრძოლა კოლმეურნეობისათვის. მათ მთელი რიგი დაბრკოლებებისა ხვდებათ წინ, მაგრამ ისინი მტკიცე ხელმძღვანელობით ძლევენ ამ დაბრკოლებებს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ეს ნაწარმოები, როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრულადაც უდაოდ გამართლებულია.

აღნიშნულ ნაწარმოებში გ. ბააზოვმა ერთმანეთს დაუპირდაპირა ძველი და ახალი. მშრომელ ებრაელთა შორის კოლექტივის ჩამოყალიბება, ეს ჩვენს უდიდეს გამარჯვებას მიეწერება. რამოდენიმე ასეულ წლებით ებრაელობა დარბეულ ერს წარმოადგენდა, რომელსაც მეფის რუსეთი სდევნიდა და ამხედრებდა საზოგადოებრივ აზრს მათ წინააღმდეგ. მეფის რუსეთში ებრაელების მიმართ არსებობდა ტერმინი „ჟიდი“ — ურია, რომელშიაც მთელი სიძულვილი იყო ჩაქსოვილი მათდამი. ებრაელები ეკონომიურ პირობებმა აიძულა მოდებოდენ სხვადასხვა მხარეს და სოფლიდან სოფელში ქუჩა-ქუჩა ეარათ მკლავებზე კალათით გადაკიდებული კვერცხებით, მაზყებით, შნუროკებით თავის და ცოლშვილის სიმშილისაგან გადასარჩენად. ეს იყო ბრძოლა ლუკმა პურისათვის. ებრაელებმა, როგორც დაჩაგრულმა და მიწასთან გასწორებულმა ხალხმა ხელი მიჰყო წვრილ ვაჭრობას, ხელში აიღო არშინი და მთელი დღეობით წვიმასა და ქარში, თოვლში და სიცხეში ამ არშინით დადიოდა და ქუჩებს აყრუებდა თავისი ძახი-

ლით. ყოველივე ეს შედეგი იყო მეფის რუსეთის პოლიტიკისა.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ამ სოციალურ უკულმართობას ბოლო მოუღო და მშრომელი ებრაელებიც მშრომელ ხალხთან ერთად მტკიცედ ჩაებენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში და პროლეტარული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში.

უდიდეს გარდატეხამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს და რომელიც ეხლა ხდება ჩვენს ქვეყანაში, თავისებური ზეგავლენა მოახდინა მშრომელ ებრაელებზე. ებრაელთა მშრომელი ნაწილი პირით შემობრუნდა საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ.

გ. ბააზოვის მოთხრობაც სწორედ ამ ფონზე იშლება. გ. ბააზოვმა თავის მოთხრობაში გვიჩვენა პირველ ებრაელთა კოლექტივის ჩამოყალიბების პროცესი და უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ძალზე კარგადაა გადმოცემული. კულაკი შემარია გორაობს უდარდელად ტახტზე და ამ დროს მისი „ბიჭები“ ქუჩა-ქუჩა გაჰყვირიან, ზოგი პაპიროსს ყიდის, ზოგი შნუროკს, ზოგი ჩურჩხელებს და ზოგი ვინ იცის რას, სალამოს კი მთელი ნავაჭრი შემარიას უნდა ჩააბარონ. ასე მიდიოდა დღეები.

ყველა კივის, ყველა მისი „ბიჭი“ ყიდის რაღაცას ქუჩაში, მხოლოდ ერთის ხმა არ ესმის. არ ესმის იმის ხმა, რომელიც ჩურჩხელებს ყიდის. ჩურჩხელების გამყიდველი ღარიბი ებრაელი ბიჭი—მიშაელია. იგი დგას ერთ ადგილზე და თავისი უბედობის შესახებ ფიქრობს. მის დალვრემილ და მოწყენილ სახეს მისჩერებია რაიკავშირის თავმჯდომარე სერგო იაშვილი. ერთი მხრივ სიმდიდრით თავმობეზრებული კულაკი შემარია და მეორე მხრივ კი თავის უკულმართ ბედზე დაფიქრებული მიშაელი ქუჩაში ჩურჩხელებით. ერთი მხრივ ტახტზე მგორავი, უდარდელი შემარია და მეორე მხრით სახე დალვრემილი, და-

ფიქრებული მიშაელი. აი, ორი მოპირდაპირე ძალა, რომლებიც ერთ და იმავე დროს სხვა და სხვას ფიქრობენ. შემარია ფიქრობს იმის შესახებ, რომ მიშაელი არ ყვირის ქუჩაში, რისთვისაც იგი კბილებს აკრაჭუნებს, მიშაელი ფიქრობს იმის შესახებ, თუ სანამდე უნდა გაგრძელდეს მისი ასეთი დუხჭირი და უპერსპექტივო ცხოვრება.

სერგო იაშვილის ენერგიული მუშაობით მიშაელმა უარყო ძველი ებრაული ტრადიციები და იგი აქტიურად ჩაება ახალი ქვეყნის მშენებლობის ფერხულში. მიშაელმა უარყო ძველი ადათ-ჩვეულებები. იგი ეხლა კომკავშირელი და მოწინავე ახალგაზრდა ებრაელია. ფართოდ გაიშალა მუშაობა ებრაელთა ჩასაბმელად კოლექტივში და ერთ დღეს მიშაელი აკრავს მეტად თავისებურ დამახასიათებელ განცხადებას. ამ განცხადებამ ყველა გააკვირვა. ვერ წარმოედგინათ ებრაელების გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში. კლასობრივი მტრები ასისინდენ. შემარია და ძმანი მისნი გაიძახოდენ: „როდის იყო, რომ ებრაელს მიწის მუშაობა შეეძლო, მისი საქმე მხოლოდ მარტო არშინია. ტყვილა კი არ გვეცინიან ჩვენ: „ებრაელმა რაც უნდა დათესოს იგი არშინს მომკისო“.

მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიჩვენა. ღარიბ ებრაელთა არტელი დღითი დღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა. კლასიური მტერი კი მოხერხებულ დროს ეძებდა მის ჩასაშლელად.

კოლექტივის თავმჯდომარედ მიშაელია, რომლის მუშაობა ყველას აკვირვებს. კოლექტივი მტკიცდება. ყოველდღიურად იზრდება მასში გაერთიანებულ ღარიბ ებრაელთა შრომის ენტუზიაზმი. კულაკ შემარიას ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს და იგიც ეძებს მოხერხებულ მომენტს შეტევისათვის. მან დაიწყო მავნებლური მუშაობა. აი, ერთ საღამოს დაიბარა კოლექტივის წევრი, არონ კრიხელი, რომელსაც შემარიას ვალი ჭონდა. შემარიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მოიყიდა, მისცა ფული და უთხრა: — არონ, შენ კოლექტივში უნდა დარჩე. შენ შიგნიდან და მე გარედან. აქ ავტორს ძალზე კარგად აქვს გადმოცემული კლასიური მტრის შინაგანი ბუნება. იგი თავის მომხრეებს თვით შიგ კოლექტივში იჩენს, მას უნდა შიგნიდან გატეხოს ციხე. შემარია აგრეთვე იყენებს ებრაულ სარწმუნოებას და მის ადათ-წესებს კოლექტივის წინააღმდეგ. შემარიამ არონ კრიხელის დახმარებით შესძლო კოლექტივის შენობის დაწვა. ეს ადგილი განსაკუთრებით კარგადაა გადმოცემული მოთხრობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მომენტი, როდესაც ერთი მხრივ იწვის კოლექტივის ქონება და მეორე მხრივ მიშაელის დედა, სიფორი, წყევლის თავის შვილს მიშაელს ებრაულ სარწმუნოების და მისი ადათ-წესების გატეხისათვის. სიფორმა ვერ აიტანა ეს მდგომარეობა და მას გული გაუსკდა — მოკვდა მიშაელის მკლავებში. შემარია ამ დროს ქალაქშია. ცეცხლის გაჩენის კვალს ვერ მიაგნეს. სთქვეს: „შემარია როგორ დაწვავდა, იგი სამი დღეა რაც ქალაქშიაო". შემარიას შურისძიება ყოველ დღიურად იზრდებოდა კოლექტივის მიმართ. კოლექტივი კი, როგორც რიცხობრივად ისე თვისობრივად მტკიცდებოდა.

შემარია ახალ ახალ დავალებებს აძლევდა არონ კრიხელს. არონ კრიხელმა დაიწყო სიზარმაცე და სიმულიანტობა. მას კოლექტივი რიცხავს თავის რიგებიდან. ამის შემდეგ არონ კრიხელს შემარია ნიშნავს სალოცავის დარაჯად.

მიშაელის თავდადებული მუშაობით ებრაელთა კოლექტივმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა მშრომელ ებრაელთა შორის. კულაკ შემარიას მთელი სიბრაზე მიმართულია მიშაელისაკენ. მას უნდა მიშაელს ბოლო მოუღოს და მისი მოკვლა დაავალა არონ კრიხელს. არონი მან მოქრთამა, მისცა რამოდენიმე ათეული მანეთი. ძნელია არო-

ნისათვის ამ დავალების შესრულება. შემარიამ მას ხანჯალიც მისცა და არონი გააფრთხილა: ყოველივე ეს უნდა მოხდეს სელიხოთის ღამეს... მოაწია სელიხოთის ღამემ, რომელიც ნაშუალამევის სამ საათზე იწყება. არონი როგორც სალოცავის დარაჯი ვალდებულია შეატყობინოს სელიხოთის დაწყების დრო, რისთვისაც მან ქუჩა-ქუჩა უნდა ჩამოიაროს. ამ საღამოს არონი განსაკუთრებით ვერ ისვენებს. სამ საათის მაგივრად მან ორ საათზე დაიწყო ძახილი: „სელიხოთი, ლოცვა, შემარია სელიხოთი, მიშაელ სელიხოთი“ და ღამის ორ საათზე ატეხილი ძახილი არაა შემთხვევითი. აქ არონი იძახის არა როგორც სამლოცველოს დარაჯი, არამედ როგორც კლასიური მტრის ბრმა იარაღი და მავნე განზრახვით საესე. მან ამალამ ბოლო უნდა მოუღოს მიშაელს, რაც მისთვის ძნელია.

აქ მთელი ტრაგიზმია ჩაქსოვილი. შემარია უცდის იმ სასიხარულო წუთს, როდესაც არონი ხანჯლით ბოლოს მოუღებს მიშაელს, მაგრამ მას ეშინია არონის, როგორც ლარიბ გლეხის. ამიტომ მან არონს უკან დაადევნა თავისი ძმა აბიშაი და მიშაელის საწოლთან მდგარ არონს თავში კეტი დაკრა და შედმეგ კი მიშაელის ხანჯლით მოუღო ბოლო. არონის მკვლელობა მიშაელს დაბრალდა.

უნდა ითქვას გადაუჭარბებლად, რომ ეს ადგილი ძალზე მძლავრია მთელ მოთხრობაში. დამახასიათებელი და მთავარი აღნიშნულ მოთხრობაში ის არის, რომ მოთხრობა შემთხვევით ეფექტიურ ამბებზე კი არ არის აგებული, არამედ ნამდვილ რეალურ და ცოცხალ ფაქტებზე.

მოთხრობა ეხება ებრაელთა შორის მომხდარ დიდ მნიშვნელობის სოციალურ გარდატეხას და ამ გარდატეხის დროს ცხადია, არის წინააღმდეგობები და ხელის შემშლელი პირობები; ეს ნაწარმოები ამ გარდატეხის ერთი ეპიზოდია.

ბოლოს ყველაფერი გამოირკვა. მიშაელი უდანაშაულოა არონის მკვლელობაში. შემარიას შეიპყრობენ. თვითონ გამოტყდება ყველაფერში. და ვიდრე მას მიუსჯიან უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას, იგი ამბობს:—კოლექტივი იმარჯვებს. ასე უბრალოდ თავდება მოთხრობა, მაგრამ ამ უბრალოებაში მოცემულია მთელი მისი ღრმა შინაარსიანობა. დიახ, კოლექტივი იმარჯვებს მიუხედავად კლასობრივ მტრების წინააღმდეგობისა.

გ. ბააზოვმა კი შესძლო ჯანსაღად ეჩვენებინა ჩვენთვის ებრაელთა შორის კოლექტივის ჩამოყალიბების პროცესები. მოთხრობაში მოცემულია ყველა დეტალი იმ წინააღმდეგობებისა, რომელიც ჩვენ გვხვდებოდა წინ. კარგადაა მოცემული კულაკის ბრძოლა კოლექტივის წინააღმდეგ და მასთან ერთად, თუ როგორ იყენებს იგი ებრაელთა უკულტურობას და სარწმუნოებას.

გ. ბააზოვისათვის ეს მოთხრობა უდავოდ ნაბიჯია წინ. „დილლეამარ“-ის ავტორისათვის ეს მისი უდიდესი გამარჯვებაა.

შემარიას უკანასკნელი სიტყვა: „კოლექტივი იმარჯვებს“ ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ებრაელები მარტო არშინისათვის არ არიან გაჩენილი და რომ მათაც შეუძლიათ სოციალიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება. გერცელ ბააზოვის მოთხრობა ამ ფონზე იშლება და მისი, როგორც მწერლის გამარჯვება, სწორედ ამაშია.

კ. მელაძე.

1

უხსოვარი დროიდან, რამოდენიმე საუკუნი მიწისათვის, შემოუკრავთ გარშემო ძველი ყოფასავით დაკანგებული მავთულები, შიგ ჩაურგიათ აქა იქ ტყემლის ხეები, რომლის შემდეგაც ვიღაცა კეთილშობილ ხუმარას უწოდებია ამ ადგილისათვის „ბულვარი“.

ეს სახელი შერჩენია დღემდე.

ორი ტელეგრაფის ბოძი, ერთმანეთთან შეერთებული გადახლართული მავთულებით, დგანან მარადიულ ყარაულში და საზღვრავენ „ბულვარის“ მდებარეობას.

„ბულვარის“ ხაზზე კი ჩამწკრივებულან სხვადასხვა „პროფესიის“ ხალხი, რომელთა ყვირილი ისმის ჯერ კიდევ გათენებამდე:

— ჩისტიმ, ბლისტიმ ბატონო!

— ჩურჩხელა, ჩურჩხელა!

— ცივია, ცივი!

— აქეთ კაი მკავე წყალი!

— შნურკები, შნურკები!

— წაბლი, წაბლი, მოხარშული წაბლი!

— ქლიავი, ლოლნაშო, ტყემალი, ტყლაპი!

და ასე დაუსრულებლივ. ირევა ერთმანეთში ხმები. ხშირად ძნელია შინაარსის გაგება.

ყვირილი კი გრძელდება. არავინ იცის რისთვის.

პატარა დაბას მუშტრები ნაკლებად ჰყავს.

ყვირილი მით უფრო შემზარავია და გააფთრებული.

ორ ადამიანს აინტერესებდა ამ ყვირილის ბედი: სერგო იაშვილს და შუმარია შაფთოშვილს.

ამ პირებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

მოთხრობის დასაწყისში არც იცნობენ ერთმანეთს.

სერგო იაშვილი ახლად გადმოგზავნილია ცენტრიდან რაიკავშირის თავმჯდომარედ, ხოლო შემარია შაფთოშვილი, ცნობილი მდიდარია და ძველადგანვე ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრები.

შემარია ჯერ კიდევ თავის ლოგინში ჰბრუნავს და ეჩვენება, რომ გარედ სუსტად ჰყვირიან.

სერგო მიდის სამსახურში, მაგრამ არ შეუძლია არ შეჩერდეს.

ეს ყვირილი გულში მაგარი ლახვარივით ესობა.

„ჰაერის ხალხი“- ჰფიქრობს სერგო და ათვალიერებს ამ ღარიბ-ღატაკებს, რომელთაც ამ ყვირილში სურთ ჩააქსოვონ მთელი თავისი გულისტკივილი, უბედურება, ღრმა მწუხარება.

განა ეს მარტო ყვირილი იყო?

ეს იყო შიში ლუკმა პურის შეძენისათვის, ველური ამონაკვნესი, ახალი ქვეყნის შეუთვისებლობა და მომაკვდავის უკანასკნელი გაფართხალება.

სერგო გულის ტკივილით ჰხედავს, რომ აქ არის სამივე თაობა: ბავშები, ახალგაზრდები, მოხუცები.

ყველანი ჰყვირიან, იხვეწებიან:

— გამისაღეთ!

სერგო ამჩნევს, რომ მხოლოდ ერთი ახალგაზრდა, ცისფერი თვალებით და შავი ქუდით—არ ჰყვირის. ხელში უჭირავს ერთი კონა ჩურჩხელა და ხმას არ იღებს. გარინდებით და გაუნძრევლად დგას ერთ ადგილას და ჩაფიქრებულა.

არც შემარიასთვისაა ეს ამბავი საიდუმლო. იგი წევს თავის რბილ ლოგინში, მაგრამ მაინც არჩევს ნაცნობ ხმებს.

ერთის ხმა არ ესმის მას და უსიამოვნოდ ჰფიქრობს: „დამაცა, მიშაელ თეთრუაშვილო. მე შენ გაყურებინებ სეირს“.

მიშაელი კი არ ინძრევა და უცნაურად უცქერის თავის ჩურჩხელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგომ ღრმად ალიბეჭდა მისი ცისფერი თვალები და გადასწყვიტა მოხერხებულ დროს მასთან გაბაასება.

* * *

რა იყო ის ახალი ძალა, რომელმაც აალაპარაკა მუდამ მდუმარე და ჩაფიქრებული მიშაელი?

ჯერ ვერც თვითონ მიშაელი გაერკვია ამ ამბავში.

იგი ჯერ ოცი წლისაც არ იყო, მაგრამ ზურგზე ეკიდა ორმოცი წლის დარდი და უბედურება.

სერგოსთვის ძნელი არ იყო დარწმუნებულიყო ამაში.

იმავე საღამოს, ისინი ისხდენ ერთად მდინარის პირას და უცნაურად ეჩვენებოდა მიშაელს, რა უნდოდა ამ „ქალაქის კაცს“ მისგან. მაგრამ ერთს ჰგრძნობდა მიშაელი, რომ ასე თბილად, გულმხურვალედ, ჯერ მასთან არავის ულაპარაკნია მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მიშაელს არ უნდოდა, რომ სერგოს შეემჩნია ფეხის თითები მის დახეულ ჩუსტებზე, საჩქაროდ გაიძრო წინდები და ფეხები მდინარეში ჩაუშვა.

სერგო იჯდა მის პირდაპირ და ათვალიერებდა უძლიერესი ცნობის მოყვარეობით.

შავ ქუდს და ცოტაოდნათ მოშვებულ შავ კიკინებს დისონანსი შეჰქონდათ მიშაელის შეფასებაში, მაგრამ ცისფერ თვალებში იმდენი გულწრფელობა და უბრალოება იყო, რომ სერგოს არ შეეძლო ცუდი რამ ეფიქრა მიშაელის შესახებ.

მიშაელს ხელში ეჭირა გაუყიდელი ჩურჩხელები. უბიდან გამოიღო ძველი ქალალდის ნაგლეჯი, საჩქაროდ გაახვია მასში ისეთი გრძნობით, თითქოს რალაც უსიამოვნონივთს იცილებდა თავიდან და გადასდო გვერდზე. შემდეგ ღრმად ამოიოხრა, ნელა გადახედა სერგოს და დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა ადრე მომიკვდა. დედა ჩემი ბავშობაშივე გაუთხოვებიათ. მამის სიკვდილის დროს ჩვენ ვიყავით პატარა ბავშვები. ვიდრე ძალლონე შესწევდა მრეცხაობდა და შვილებს გვასაზრდოებდა, მაგრამ მალე მოტყდა და ლოგინად ჩავარდა. დღესაც წევს. ჩემი უფროსი და გათხოვდა, მაგრამ ქმარი ლოთი გამოდგა, დილა საღამოს სულ სცემდა და იძულებული შეიქნა ასეთი დამწარებული ლუკმის ჭამას — შინ დაბრუნება. ერჩია თავისი ორი პატარა შვილით, რათა ჩვენთან ერთად განეცადათ შიმშილი და გაჭირვება. ნეტავ კი ასე ყოფილიყო, რა გვიჭირდა, მაგრამ მოხდა ორი ამბავი, რის შემდეგაც მთლად აფორიაქდა ჩვენი ცხოვრება და ჩაგვიმწარდა სიცოცხლე: ჩვენი ერთად-ერთი მარჩენალი ჩემი უფროსი ძმა იყო. ის ჩემზე ორი წლით იყო უფროსი. მას შემდეგ ოთხი წელიწადია. იგი „შნუროკებს“ ჰყიდდა ხოლმე ქალაქში. ერთ დღეს ტრამვაის შეახტა და უნდოდა ვიღაცასთვის „შნუროკი“ მიეყიდა. კონდუქტორმა დაუსტვინა და ტრამვაის ვაგონი გააჩერეს. მოვიდა მილიციელი. ჩემს ძმას შეეშინდა, ეგონა „შნუროკებს“ წაართმევდენ და ჩვენ მშიერი მოვკვდებოდით, გადახტა და გაექანა ქუჩის მეორე მხარეს. ვერ შეამჩნია, რომ ამ მხარეზე მოჰქროდა ტრამვაის სხვა ვაგონი, რომელმაც გაიტანა. ჩემმა დამ, რომ ეს ამბავი გაიგო ჰკუა დაჰკარგა. მას შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს. სახლში პატრონი აღარავინ იყო. ჩემმა ქვრივმა დედამ და უნცროსმა დისწულებმა მე დამიწყეს ცქერა, როგორც ერთად-ერთ იმედს. მეტი რა გზა იყო, მე უნდა დამეკავებინა ჩემი გარდაცვლილი ძმის ადგილი. დედა ჩემმა ტრამვაის შიშით ქალაქში არ გამიშვა და „შნუროკებით“ ვაჭრობაზე ხელი ამაღებინა.

— დიდხანს ნუ გიდევს ფეხი წყალში. შესაძლებელია გაცივება — შეაწყვეტინა სერგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშაელი დაემორჩილა სერგოს, მაგრამ მაინც სთქვა:

— ხშირად ეს ცივი წყალი სევდას მიქარვებს, მაგიწყებს მთელ ქვეყანას და ძილის სურვილს მგვრის. მე კი ისე ცოტა მძინავს: დღედაღამეში — სამი-ოთხი საათი.

— რისთვის გძინავს ასე ცოტა?

— ასე ხდება ხოლმე—უპასუხა მიშაელმა ბუნდოვანად.

სერგომ ძალა არ დაატანა და ყურს უგდებდა მიშაელს, რომელიც აგრძელებდა თავისი ცხოვრების ამბავს.

— გაგიგონიათ შემარია შაფთოშვილის სახელი? დიდი მდიდარი კაცია ჩვენს ქვეყანაში. მართალია, ძალიან ბოროტი და უსვინდისო კაცია, მაგრამ ჩვენ ხალხს მაგით უდგია სული. შემარიას აქვს თავისი ვენახები, დუქნები, კარგი სახლები და ბლომად ფული. აძლევს ხალხს ნისიად საქონელს და აყიდვინებს ბაზარზე. ჩვენი ოჯახიც იმას შეეცოდა და ამიტომ მომცა ჩურჩხელების საქმე. ამდენი ხანია ჩურჩხელებით ვვაჭრობ და თუ რამეს მოვიგებ შემარიას „ტაქსაზე" ზევით—შევიტან ოჯახში. ძნელი კია ეს ხელობა, ხეირი არ ჭყრია. დღეში ხუთ ცალს თუ გავყიდი და თითოზე შაურს ძლივს ვიგებ. აბა რა უნდა ვქნა? ხალხი ყოველთვის ეჩვევა უბედურებას, ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენს უბედურებას და გაჭივრებას.

— მაშ არ მოგწონს ჩურჩხელებით ვაჭრობა?

— რამოდენიმე წელიწადია ხელში მიჭირავს ჩურჩხელა. ისე შემძულდა, ისე მომბეზრდა, რომ მათი გემოც კი არ ვიცი.

— საერთოდ, ვაჭრობა მოგწონს?

— აბა რა ვიცი... ისრაელებისათვის ღმერთს სხვა ხელობა არ მიუცია. — ამოხვრით უპასუხა მიშაელმა.

— ღმერთი გწამს?

— ულმერთოდ როგორ იქნება?

— შემარიასაც სწამს ღმერთი?

— იმის სულში არ ვზივარ, თუმცა რა ვიცი... სალოცავში მოსვლა ყოველთვის აგვიანდება. სელიხოთზე ეკ ხანდახან სულ არ მოდის.

— რა არის სელიხოთი?

— საერთოდ დღეში სამი ლოცვა გვაქვს, მაგრამ ელულის თვეში ემატება კიდევ ერთი: ნაშუალამევის სამ საათზე.

— შემარია არ იწუხებს თავს ნაშუალამევს ასადგომად?

— როგორც ჩანს, არა.

— მერე, ღმერთი რატომ არ სჯის მას? ღმერთი მარტო მდიდრებისათვის არის? თუ . . .

მიშაელი ღრმად ჩაფიქრდა. ამ უცნაურმა კაცმა მიაგნო მისი გულის ღრმა ჭრილობას, რომელიც დღემდე მაგრად ჰქონდა შეხვეული. არასოდეს ასე ნათლად არ მდგარა მისთვის ეს საკითხი:

— ღმერთი თუ არის, რატომ არ სჯის შემარიას?

ხოლო მეორე საკითხის დალრძავების ეშინოდა:

— თუ . . .

არ იცოდა რა იყო საზღვარის იქითა მხარეს. უკედიცოდა, ხოლო ეშინოდა არ მისულიყო სასოწარკვეთილებამდე. გაახსენდა თალმუდთორაში[1]) ნასწავლი ფარაზა:

„აშრე ამაამინ“ . . .[2])

და გული აუტოკდა:

„მართლაც რა უბედური უნდა იყოს ურწმუნო კაცი. მაგრამ რომელი უფრო უბედურია: მორწმუნე თუ ურწმუნო?“

დაიბნა მიშაელი. შელამებამ გამოარკვია, საჩქაროდ წამოდგა, ფეხთ ჩაიცვა, აიღო ჩურჩხელები და თითქოს ბოდიშს იხდისო, ნელის ხმით უთხრა სერგოს:

---

[1]) თალმუდთორა-ებრ. რელიგიური სასწავლებელი.

[2]) „აშრე ამაამინ“-„ნეტარ არის მორწმუნე“...

— ყარბითის [1]) ლოცვის დროა. უნდა წავიდე. შემდეგ შემარიას ჩავაბარო თავის ჩურჩხელები. შემდეგ კიდევ საქმეები. ოოჰ...— ამოხვრით დააბოლოვა მიშაელმა.

— რამდენი დაგრჩა ჩურჩხელა?

— ოთხი ცალი. ერთი გავყიდე.

— რა ღირს ოთხივე ცალი?

— ორი მანეთი.

სერგომ მისცა ორი მანეთი და ჩურჩხელებიც დაუტოვა. მიშაელმა უარი განაცხადა.

— სხვას შეიძლება გახარებოდა, მე კი არ მინდა ჩურჩხელების დატოვება. რახან შემარიას თავის ფულს ჩავაცეცხლებ — ამ ჩურჩხელებს ალარ ვდარდობ.

ამ სიტყვებთან ერთად ჩურჩხელები გაატანა მდინარეს.

სერგო დარწმუნდა სიმძულვარის ძალაში, ვერ მოითმინა და საკითხი, რომელიც უნდა მიეცა მისთვის რამოდენიმე დღის შემდეგ — მისცა ეხლავე:

— სხვა საქმე რომ გიშოვო, დაანებებ თავს ვაჭრობას?

მიშაელს თვალები გაუბრწყინდა. ენა დაება, მხოლოდ თანხმობის ნიშნად ძლივს თავი დააქნია.

— მაშ თუ ასეა, გამოიარე ჩემთან ხვალვე რაიკავშირში. იკითხე: სერგო იაშვილი.

გამოესალმენ. წავიდენ სხვადასხვა მიმართულებით: ერთი რაიკავშირისაკენ, მეორე სალოცავისაკენ.

რაიკავშირში წამსვლელი აბიჯებდა მტკიცედ.

სალოცავის მგზავრს კი ფეხები უკან რჩებოდა.

სერგოს მიწაზე ჰქონდა ფესვები. მიშაელს — ჰაერში.

ორივენი ჰფიქრობდენ ამაზე. ორივენი — თავისებურად.

---

[1]) ყ ა რ ბ ი თ - საღამოს ლოცვა.

K 24.896

* * *

დედა ავად იყო. ბავშვებს პური ჰშიოდათ.

სამი დღეა მოხუც სიფორს განსაკუთრებით აწუხებს ღვიძლის ტკივილი. გამოწერილი რეცეპტი უფულობის გამო ისევ ფანჯარაზე დევს. მიშაელმა ჯერ კიდევ ვერ შეაგროვა საჭირო ფული.

მაგრამ ამ საღამოს დედას ტკივილებმა ძალზე შეჭოუტია. მოხუცი სიფორი მომთმენია. ამ საღამოს კი ვერ ითმენს.

— ოოჰ... შვილებო გიკვდებით... მალე, მალე განთავისუფლდებით ჩემი ხელიდან... ოოჰ ... მიშაელ... შენ დაგჭირდება მამობა გაუწიო პატარა ხაიმს და ზილფას... ღმერთო, რა დაგიშავე... რომ არც ერთი დღე არ გამახარე ჩემს სიცოცხლეში...

იჯდა მიშაელი ჭვარტლიან ბუხართან და დედის ყოველი ამოხვრა, ყოველი სიტყვა მჩხვლეტავი ნემსივით ესობოდა გულის არეში. ხედავდა თავის უღონობას და უფრო მწუხარე ხდებოდა.

„რა ძნელია უფროსობა, მაგრამ არც ერთი იცი: ხაიმისა და ზილფას მდგომარეობა უარესია. ისინი პატარები არიან, პური ჰშიათ და მოთმენა არ შეუძლიათ. დედა — მძიმე ავადმყოფი, უფროსი და — შორს სადღაც, ქალაქის საავადმყოფოში და მე აქ მარტო მაწევს ამდენი პასუხისმგებლობა".

როცა ფიქრებიდან გამოერკვა, მიმოიხედა გარშემო. ის რაც თვალწინ დაინახა, ეს იყო მათი ოთახი.

განა ეს ოთახი იყო?

ისეთი დაბალი ჭერი, რომ მიშაელს უჭირდა გამართვა. კარებები და კედლები ჭვარტლით გამურული. ფანჯრები ნახევრად ჩალეწილი და ქალალდებით აფარული. ერთი ხის ტახტი, რომელზედაც სიფორი წევს ამდენი ხანია... ბავშვები ჭყრიან იატაკზე ერთ დახეულ ქვეშსაგებზე. ხაიმს სახე მუწუკებით აქვს სავსე, ხოლო ზილფას პირიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორბლი ჩამოსდის... ტანზე დახეული პერანგები აცვიათ, ვინ იცის რამდენი ხნის გაურეცხავი. ორი დანჯღრეული სკამი, ერთი მაგიდა, რომელსაც ცალი ფეხი აკლდა და ერთი ჟანგმოდებული ტაშტი, რომელშიაც მეზობლის კატას მოეკალათებინა თავი.

ასეთი იყო თეთრუაშვილების ბინა. წინეთ აქ საწყობი იყო. ეხლა — ადამიანების თავშესაფარი.

შესავალი აივნად იყო გადაქცეული. აქ ელაგა დაპობილი შეშა. ზაფხულობით მიშაელისათვის შეშა მუთაქის როლს ასრულებდა. ღამღამობით იგი წვებოდა ამ ადგილს, ეძლეოდა ფიქრებს და განთიადზე ძლივს ჩაეძინებოდა.

მიშაელი ეხლაც აივანზე გამოვიდა. წამოწვა და შეისუნთქა ღამის ჰაერი. შორს სადღაც უდეგარი მდინარე ეხეთქებოდა ჯებირს.

ქუჩა ჩვეულებრივად ჩაბნელებული იყო, ხოლო მოპირდაპირე სახლიდან მოდიოდა ამაყი სინათლე და სხვანაირი ცხოვრების სუნი.

ეს იყო შემარიას სახლი.

შემარია!

არავინ იცის საზღვარი მისი სიმდიდრისა და სიძუნწისა.

ამალამ, ყარბითის შემდეგ, მიშაელმა ჩააბარა ჩურჩხელების ფული შემარიას საკუთებით. არ ელოდა შემარია, რომ „დოყლაპია“ მიშაელი, როგორც ის მას ეძახდა — ფულს მიუტანდა. მიშაელმა სთხოვა, დაეტოვებინა სესხად ერთი მანეთი, რომ დედისთვის წამალი გამოეტანა. შემარიამ შეუბღვირა და ფული კი გამოსტაცა.

შემარიას სახლიდან მოისმოდა სიცილ-კისკისი.

„ღმერთს უყვარს მდიდრები“ — გაიფიქრა მიშაელმა.

თავის ოთახიდან მას ესმოდა დედის კვნესა და ბავშვების ტირილი.

„ღმერთს ეჯავრება ღარიბები“ — ისევ გაიფიქრა მიშაელმა.

მისი ფიქრთა დენა უცებ შეწყდა ერთ ნათელ წერტილზე:

„სერგი იაშვილი“.

იგი არ იყო ისრაელი, მაგრამ რამდენად კარგი კაცი იყო. ნუ თუ ის მართლა მისცემს მას რაიმე ახალ საქმეს? მაშინ ხომ... დედას წამლებს გამოუტანს, ბავშებს ფეხსაცმელებს უყიდის და შემარიას ისე გაუვლის გვერდზე, რომ სალამსაც არ აკადრებს. დეე იყოს ის მდიდარი, მიშაელი — ღარიბი.

ოთახში მყოფთ დიდი ხანია დააეიწყდათ ტკივილი და შიმშილი. ძილმა თავისი ჰქნა.

ეძინა შემარიასაც თავის ცოლით.

ეძინა ქუჩასაც.

ხოლო მიშაელს აწვალებდა უცნაურად საშიშარი ფიქრები:

„ღმერთი—მდიდრების მოგონილი ხომ არაა?“

„ამბობენ—ღარიბების მთავრობა არის ეხლაო, ე. ი. მუშების და გლეხებისაო... მაგრამ ჩვენ რა... ჩვენ ხომ ვაჭრები ვართ?“

„არ შეიძლება სერგო იაშვილმა რომ აუხსნას მთავრობას, რომ თუმცა ჩვენ ვაჭრები გვქვია, მაგრამ მაინც ღარიბები ვართ?“

„მაგრამ ვაი თუ იმან მახეში გაგვაბას, მოიგონოს, ეს კომკავშირიო, ეს კოლექტივიო, მერე რალა გვეშველება?“

მთლად დაიბნა მიშაელი.

იქნებოდა ნაშუალამევის სამი საათი. მიშაელი კი ვერ ჰგრძნობდა ძილის საჭიროებას.

ქუჩაში სიწყნარე იყო და ცოტაოდნად სციოდა.

მიშაელის გულში კი ხმაურობა იყო და ფიქრების კოცონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემო კი უცნაური დუმილი სუფევდა.

და უცბათ არემარე გაარღვია ბებერი იონას ბოხმა ხმამ:

— სელიხოთი, ლოცვა... სე-ლი-ხო-თი ლოც-ვა... სიმანა ლოცვა... ხაიმ ლოცვა... მორდეხა ლოცვა... ხანანია ლოცვა... შემარია ლოცვა... მიშაელ ლოცვა... სელი-ხო-თი ლოოოოოც.....ვაააა.....

მიშაელს მოეჩვენა, რომ ბებერმა იონამ შემარიას ჩუმად დაუძახა, ხოლო მიშაელს კი-ხმამაღლა.

კიდევ დიდხანს ისმოდა ბებერი იონას ბოხი ხმა, რომელსაც უნდა შემოეევლო მთელი ებრაელთა უბანი—ხალხის გასალვიძებლად სელიხოთის ლოცვისათვის.

მიშაელმა ამალამ პირველად განიცადა უსიამოვნო გრძნობა, როდესაც გაიგონა იონას ძახილი და გადასწყვიტა არ წამომდგარიყო, რომ ამ დროს ოთახიდან არ შემოსმოდა ავადმყოფი დედის ხმა:

— შვილო მიშაელ, გამოიღვიძე, ნუ გძინავს... იონამ ჩამოიარა... სელიხოთზე არ დაგიგვიანდეს...

— ვდგები დედა... — და მიშაელი წამოდგა.

უხალისოდ აიღო სიდური[1]), ტალეთი[2]) და თეფილინი[3]) და გასწია სალოცავისაკენ.

გზა და გზა მას ჰხვდებოდენ მორწმუნენი, ქალები და კაცები, დიდები და პატარები, რომლებიც მიემართებოდენ იმავე გზით.

მიშაელს კვლავ აწუხებდა საშინელი ეჭვები და თავის გამართლებისათვის ღმერთს ეხვეწებოდა თავის გონებაში, რომ მისთვის ეპატივებინა ასეთი ცოდვილიანი ფიქრები:

„რაში სჭირდება იმ დალოცვილ ღმერთს შუალამისას ჩვენი ლოცვა.“

---

[1]) სიდური-სამლოცველო წიგნი.

[2]) ტალეთი—სალოცავში წამოსასხამი.

[3]) თეფილინი—მარცხენა ხელზე და შუბლზე დასაბმელი ნივთი დილის ლოცვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალოცავიდან უკვე მოისმოდა ძლიერი გოდება და მოთქმა, რომელიც ერთდებოდა ერთფეროვან, მონოტონურ და სპეციფიურ ძახილში:

„ელოე აბრაამ ყანენუ,
„ელოე იცხაკ ყანენუ,
„ელოე იაყაკობ ყანენუ! [1])

მიშაელმა უნებურად გადაჰხედა შემარიას სკამს, რომელიც ცარიელი იყო და მოულოდნელად უსაყვედურა ღმერთს:

„შემარიას—სიმდიდრე და ძილი,
მიშაელს—სილარიბე, ლოცვა და ტირილი,
ელოე აბრაამ ყანენუ“.

---

[1]) „ღმერთო აბრაამისა—გვიპასუხე,
ღმერთო ისაკისა—გვიპასუხე,
ღმერთო იაკობისა—გვიპასუხე“.

2

უმთავრესი იყო: სწორი მიდგომა.

დანარჩენში ამხანაგ სერგოს ეჭვი არ ეპარებოდა. პარტიის სწორი პოლიტიკა მისთვის საუკეთესო საწინდარი იყო.

ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც საჭირო იყო: კულაკები აგინებდენ, ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა კი ძალზე ემადლიერებოდა.

სერგოს სახელი და ავტორიტეტი რაიონში დღითი დღე იზრდებოდა.

მას არ სჩვეოდა გადახრები. მიდიოდა პირდაპირი მტკიცე ნაბიჯებით. არ უშინდებოდა დროებით სიძნელეებს და საქე ეჭირა ხელში ბეჯითად და წარბშეუხრელად.

ამ ბოლო დროს დაისახა ერთი მიზანი. იცოდა, რომ ამ გზაზე ბევრი სიძნელეები იყო და სიფრთხილით სინჯავდა ნიადაგს.

თავის ახალგაზრდა მეგობარს ნელნელა აპარებდა ახალი ქვეყნის აზრებს. ყოველდღიურად სთმობდა ცოტაოდენ დროს, რომ ნიჭიერი და ენერგიული მიშაელი გამოეტაცნა ბნელეთის კლანჭებიდან. ყოველდღიურად იგი ხედავდა, როგორი ცვლილება ხდებოდა მიშაელში და სრულებით არ გაჰკვირვებია სერგოს, როცა ერთ დღეს მოვიდა მასთან მიშაელი კიკინებ მოპარსული და გალამაზებული სახით.

— ასე, ჩემო მიშაელ. შენ პირველი პიონერი ხარ. შენ მოილტვი ჩვენკენ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მარტო შენზე შეჩერება არ შეიძლება. ერთი მერცხალი, ხომ გაგიგონია, გაზაფხულს ვერ მოიყვანს. საჭიროა შეიძინო ამხანაგები, თანამებრძოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშაელმა დაიწყო ამხანაგების ძებნა.

მიშაელი შეუდგა თვითგანვითარებას. კითხულობდა სერგოს მიერ მიცემულ გაზეთებს და ბროშურებს.

დილაობით მუშაობდა რაიკავშირის შიკრიკად.

საღამოობით დადიოდა კლუბში.

სალოცავში დადიოდა დილაობით. საღამოობით უკლო სიარულს. გული იწევდა უფრო კლუბისაკენ, ახალი ამხანაგებისაკენ, სადაც კი არ სტიროდენ და ლოცულობდენ არამედ აკეთებდენ ნაყოფიერ საქმეს.

მეხივით გავარდა ეს ამბავი მიშაელის პატარა ქვეყანაში.

ლაპარაკობდენ ათას რამეს:

— მიშაელი გარაშაყებულა [1]).

— მიშაელი უკიკინებოდ დადის.

— მიშაელი ლოცვას აღარ ეკარება.

— კომუნისტებისთვის მიუყიდია სული.

— შაბათს აღარ ინახავს.

— ტარეფას [2]) არ ერიდება.

— უყურეთ ერთი მაგ დოყლაპიას! მე წინედაც ვიცოდი, რომ მაგიდან პატიოსანი სული არ გამოვიდოდა.

ლაპარაკობდენ ყველანი, თითქმის ყოველი ებრაელი. მაგრამ ლაპარაკის სათავე—იყო შემარია შაფთოშვილის ბინა.

მართალი და სიცრუე — უპირველეს ყოვლისა გამოდიოდა მისი სახლიდან.

არც მოხუცი სიფორი დაუტოვებიათ ამ ახალი ამბების გარეშე. ავადმყოფს, შემარიას დავალებით შეატყობინეს, რომ მისი შვილი გაქრისტიანდა.

— ვაი ჩემს მოსწრებას — ჰკვნესოდა სიფორი — რისთვის არ მომკლა იმ დალოცვილმა ღმერთმა ვიდრე ასეთ

---

[1]) რაშაყ—ავი კაცი; გარაშაყებულა — რჯულზე ხელი აუღია.

[2]) ტარეფა—არა ებრაელის ხელით დაკლული პირუტყვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბერეს მაღირსებდა. ჩემი მიშაელისგან — როგორ წარმოვიდგენდი ამას. უი, უი, უი, დაღუპულა ისრაელობა...

ოხრავდა და მოთქვამდა მწარედ სიფორი.

მიშაელი იდგა ხშირად მის საწოლთან და ეცოდებოდა დედა. არ იცოდა რით ენუგეშებინა. დედას არაფერი არ ესმოდა, უკედ-არ უნდოდა გაეგო. დედა ეკუთვნოდა—წარსულს, ხოლო მიშაელი—მომავალს. მიხვდებოდა განა ოდესმე ამას მოხუცი სიფორი?

როგორ შეეძლო ამის მიხვედრა, როდესაც მომაკვდავ დედას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა:

—მიშაელმა ჩემი სიკვდილის შემდეგ კადიში[1]) წამიკითხოსო...

დღეს კი, ამ ამბების შამდეგ ამის იმედიც დაჰკარგა და უბედური სიფორი იტანჯებოდა ეჭვების ხანძარში:

„ვაიმე... რა დამემართება ყოლამ-ჰაბას“[2])

ალარ ახარებდა დედას მიშაელის მოტანილი წამალი და ფული. იწვა თავის საწოლზე და საცოდავად ბურტყუნობდა.

მოდიოდენ მეზობელი ჰორიკანა ქალები და აყრიდენ მარილს ჭრილობაზე.

მოდიოდა ბებერი ითნა და ამბობდა, რომ სელიხოთის გარდა მიშაელმა უკვე მიატოვა შახრითი[3]), მინხა[4]) და ყარბითი.

მოდიოდა შემარია და აფრთხილებდა სიფორს, რომ დროზე შეეკავებინა მიშაელისათვის ახსნილი ალვირი.

მოდიოდა სამსახურიდან დაღლილი მიშაელი და ავადმყოფი დედის ხათრისათვის... სდუმდა, მხოლოდ გულში კი თავს უყრიდა ბოლმას და სიძულვილს.

---

[1]) კადიშ—მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ლოცვა.

[2]) ყოლამ-ჰაბა—საიქიო.

[3]) შახრით—დილის ლოცვა.

[4]) მინხა—ნაშუადღევის ლოცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა მიშაელმა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ გრძნობებს დასჭირდებოდათ გამოსავალის ძებნა.

ყველა ამჩნევდა ცვლილებას გარშემო. თვით პატარა ბავშებმა ხაიმმა და ზილფამაც იგრძნეს ეს ცვლილება იმით, რომ ამიერიდან მათ თითქმის ყოველ დღე ჰქონდათ საქმელი პური.

* * *

თავისი სახლის წინ, შემარია შაფთოშვილს პატარა და კოხტა ბოსტანი ჰქონდა, რომელშიდაც იგი ამჟამად კიტრებს ჰკრეფდა.

ორმოცი წლისა იყო. თავზე თმა აღარ ჰქონდა და ნიკაპზე პატარა წვერი შერჩენოდა. ამბობდენ: დასცვივდაო, თვალები კატის ფერი ჰქონდა; უყვარდა მარცხენა თვალით დაჭუტული სიარული. როდესაც ჰფიქრობდა, ქვემო ტუჩი ყოველთვის კბილების ქვეშ ჰქონდა.

გამომეტყველება—დამცინავი ჰქონდა მაშინაც კი, როდესაც არ ჰფიქრობდა დაცინვას.

იცვამდა სადათ, რადგან მისი თქმით არ უყვარდა „თვალების მოჭრა“ მტრებისათვის.

მისი ოჯახი არ იყო მრავალრიცხოვანი: ცოლი—რუთი და ფიზიკურად ძლიერი, ხოლო უხეირო და პრაქტიკულ ცხოვრებაში ყოვლად გამოუსადეგარი ოცდახუთი წლის ძმა აბიშაი, რომელსაც უფროსი ძმა ეპყრობოდა როგორც ნამდვილ პირუტყვს, არ ზოგავდა მის ჯანს და ღონეს და აცხოვრებდა მისი სიტყვით „სამადლოდ.“

შვილები არ ჰყავდა შემარიას.

ორსართულიანი სახლის უკან გამოჭიმული იყო მისი ყანები და ვენახები, რომელთა საზღვარი მდინარე იყო.

სურსათის საწყობები, ბეღელი, ბოსელი და მარანი კიდევ ცალკე ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლთან ახლოს ორი მწვანე დუქანი ედგა: ერთი საწვრილმანოსი, მეორე—ხილისა. სეზონისა და განწყობილების მიხედვით ხან ერთს აღებდა, ხან მეორეს.

არავის არ ენდობოდა. აუარებელი ფული ჰქონდა, მაგრამ იმდენად გამჯდარი იყო მასში სიძუნწე, რომ კაპეიკს არავის დაუთმობდა.

ამ დაბის მცხოვრებლებს იგი აძლევდა სხვადასხვა საქონელს გასასყიდად, მაგრამ მაინც ყველასთან სჩიოდა, რომ დროება წახდა და მას სრულებით აღარ აქვს შეძლება.

დილაზე ადრიანად უყვარდა ბოსტანში გამოვლა და შუშა კიტრების დაკრეფა სულუგუნთან შესაყოლებლად.

ამ დილით როცა იგი კიტრებს ჰკრეფდა — დაინახა, რომ ვილამაც მის ეზოს ჰიშკართან მიაკრა განცხადება და წავიდა. საჩქაროდ გამოვიდა გარეთ. ქუჩაში ჯერ კიდევ არავინ იყო, მიმოიხედა გარშემო და საჩქაროდ წაიკითხა:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამა განცხადებით ცხადდება ყველა ღარიბი და მშრომელი ისრაელიანთვის რადგანაც რომა დღეს 30 აგვისტოს საათის სრულ ხუთზე ათას ცხრაას ოცდაათ წელსა მინხასა და ყარბითს შუა სალოცავის ეზოში დანიშნულია შეკრება იმ მიწების შესახებ რომ გვეძლევა მიწების დასამუშავებლად და ისრაელების კოლექტივის გასაკეთებლად და უნდა გაგვატაროს რეგისტრაციას ამხანაგმა მიშაელმა და სიტყვა უნდა ითქვას ამხანაგ სერგოხგნით ამიტომაც გთხოვთ არავინ დააგვიანოთ რისთვისაც გაუმარჯოს ჩვენ ახალ საქმეს ესე იგი ებრაელების კოლექტივს და აგრეთვე ძალიან გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ამენ რასაც აცხადებს ე ბ რ ა ე ლ თ ა მ ი წ ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უ... ეშმაკის კერძი...— გაბრაზებით წარმოსთქვა შემარიამ და დააპირა განცხადების ჩამოგლეჯა, რომ ამ დროს შეამჩნია სალოცავიდან მომავალი ხალხი და შეჩერდა.

წამკითხველთა კუდი განჩდა განცხადების წინ.

შემარია ყველას ეპატიჟებოდა:

— მოდით, მოდით, წაიკითხეთ... ი დოყლაპია სტოროჟი მიშაელი გეპატიჟებათ, სალამოზე მინხისა და ყარბითის მაგიერ სტოროჟებათ ჩაეწერეთო.

ვილაცამ მოკრძალებით შენიშნა:

— ძია შემარია! მიშაელი შიკრიკათ აღარ არის. იგი დააწინაურეს და რაიკავშირის ინსტრუქტორად დანიშნეს.

ამაზე შემარიამ თავისებური დაკინვით უპასუხა:

— წადი, ბიძია, შენცა სჯამე ლორის ხორცი და დაწინაურებული იქნები.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. არავის უნდოდა ეწყინებინა შემარიასათვის. მათი ბედი ჯერ კიდევ შემარიას ხელში იყო. თუმცა ყველანი ჰგრძნობდენ, რომ ეს ქალალდის ნაგლეჯი რალაც კონკურენციას უნდა უწევდეს შემარიას.

შემარიამ ახედ-დახედა მის გარშემო მყოფ ხალხს და განაგრძო:

— რალა უნდა ჩვენს პატრონს... გაოხრდა ყოლამი [1]) და ესაა... ისრაელი შვილი და კოლექტივი... სად გაგონილა, სად თქმულა! ჩვენს მამაპაპა—პაპისპაპას რჯულისა და ვაჭრობისათვის თავი არ გაუნებებია და ეხლა მოდიან ჩვენი გადარჯულებული შვილები და გვეუბნებიან კოლექტივი გააკეთეთო....

ვილამაც, რომელსაც უნდოდა ესიამოვნებინა შემარიასათვის დაუმატა ლვარძლიანი კილოთი:

---

[1]) ყოლამ—ქვეყნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენს ბებერ იონას თავისი ცოლი ძლივს გადაუბრუნებია და შენი მტერი არაა, იმან მიწა ვერ გადააბრუნოს.

სხვებმა ბანი მისცეს:

— მერე სადაა ჩვენში მიწები?

— სად ისრაელის შვილი და სად გლეხობა?

— თორის მადლმა [1]) ცუდ საქმეში უნდათ ფეხი ჩაგვაყოფინონ.

— თეთრუაშვილი მიშაელი რო კრებაზე გვეძახის მაშინ დაილუპა ჩვენი საქმე.

— არა, კაცო, გამგეობა აწერს ხელს.

— ვინ გამგეობაა, თუ ძმა ხარ, რას იგონებ, როდის ვინმე ავირჩიეთ?

— დროებით თითონ მთავრობას მიუნდვია მოშეხაიმ ელიაშვილისათვის და შემუელ ჩანჩალაშვილისათვის.

— იმიტომაც დაძვრებოდენ მაგენი სალამოობით, წერაკითხვის სკოლებიაო თუ რალაც ოხრობა.

— რა ოხრობა, შენც ერთი, წერაკითხვა ხომ ისწავლეს, ეს განცხადება მოშეხაიმმა თავის ხელით დასწერა.

— ახლა, თუ ორი სიტყვის დაბლაჯნა ისწავლეს, აგვაშენეს რალა, გაგვიძლეს ცოლშვილის კუჭი!

— ვაი, ვაი! გლახების ბაირამი დადგა. აბა რაა...

ორმა სამმა გადიხარხარა და შემდეგ დაიშალენ.

შემარია შებრუნდა თავის ეზოში და თითქოს ვილაცას ემუქრებაო, სახლში მისვლამდე ხმა მაღლა, კბილების კრაჭუნით ამბობდა:

— გიცნობთ რა შვილებიცა ხართ... აქ ასე ლაპარაკობთ, სალამოს კრებაზე მაინც მიხვალთ. არა უშავს. მიდით, მეც მოვალ. ლაწირაკებს კოლექტივი უნდათ? შემარიას კოლექტივი არ უნდა. თქვენ და მე! მოვდიოდეთ! კოლექტივი ვერ გაიმარჯვებს!

---

[1]) თორა—ბიბლია.

* * *

სალოცავის ეზოში გრძელ მაგიდას შემოსხდომოდა პრეზიდიუმი: მოშეხაიმ ელიაშვილი, შემუელ ჩანჩალაშვილი და მიშაელ თეთრუაშვილი. მათთან ახლოს იჯდა სერგო იაშვილი, რომელსაც უნდა გაეკეთებინა მოხსენება ებრაელთა კოლექტივის ჩამოყალიბების შესახებ.

მთელი ეზო სავსე იყო ხალხით. ზოგი კიდევ იდგნენ გალავნის უკან, ვინაიდან დროზე ვერ მოასწრეს ადგილების დაკავება.

მოძრაობა და ჩოჩქოლი საგრძნობი იყო.

ხალხი ღელავდა და გადადიოდა ჯგუფიდან ჯგუფში. ისმოდა ერთი ერთმანეთის დამრღვევი აზრები.

მონადირე ძალლივით აცეცებდა შემარია თვალებს. მის გარშემო შემოკრებილიყვნენ საკმაოდ გავლენიანი პირები და ღარიბ ლატაკთა ნაწილი ბებერი იონას მეთაურობით.

-- დაიწყოს რაღა კრება, რაღას უყურებენ! — გაისმა.

— თავმჯდომარეები ხომ ავარჩიეთ და მეტი რა უნდათ?

— სიწყნარე, ამხანაგებო, მალე დაიწყება.

— რაღა მალე, საცაა ყარბითის დროა.!

— ყარბითს შეაგვიანდეს, არა უშავს, ხალხის ჭირვარამი უნდა ითქვას. დღეს თვითონ მთავრობა მოსულა ჩვენთან.

— აი, აი, დახეთ, როგორ გვაჩვენენ უბედურებას.

— გაჩუმდით, გაჩუმდით, იწყება.

გაისმა ზარის წკრიალი. ჩამოვარდა სიჩუმე და მიშაელ თეთრუაშვილმა განაცხადა:

— სიტყვა ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების გარშემო ეკუთვნის ამხანაგ სერგო იაშვილს.

გაისმა ძლიერი ტაშისცემა.

სერგო არ იყო ორატორი, იგი არ ლაპარაკობდა პათოსით და სრულებით არ შეეძლო თავისი სიტყვით ემოქმედნა სხვების გრძნობებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა მისი აზრები, მეტისმეტად მწყობრად, დინჯად და დალაგებულად გამოთქმული—მოისმოდა დამაჯერებლად და ღარიბ-ღატაკთა გონებაში ჰპოულობდა შესაფერ გამოძახილს.

ხალხი უსმენდა მას უდიდესი ყურადღებით და პატივისცემით.

თვითონ შემარიაც და მისი მომხრენი სულგანაბული იდგენ.

შემარია დაყრდნობოდა მოაჯირს, დაეჭუტა ჩვეულებრივად მარცხენა თვალი და უკმაყოფილების გრძნობას ტუჩებზე კბილის მაგრად დაჭერით იკავებდა.

სერგო ავლებდა პარალელს წარსულისა და აწმყოს შორის. ლაპარაკობდა ჩარჩვაჭრობის, როგორც დამამცირებელი ხელობის შესახებ. მდაბიო ენით უხსნიდა მსმენელებს, თუ როგორი უხერხემლო ნიადაგი ჰქონდა მათ ეკონომიკას. შეეხო მიზეზებს: მეფისა და მენშევიკური მთავრობების პოლიტიკას, რელიგიას, ცრუმორწმუნეობას, უსწავლელობას. საკმაოდ გასაგები გახდა ამის შემდეგ, თუ რისთვის შეხვდენ რევოლიუციას ასეთი მოუმზადებელნი. შემდეგ შეეხო დეკლასირებისა და ბუნებრივი გაღატაკების პროცესს.

სერგომ დაისხა ჭიქა წყალი და როდესაც მოიკლა წყურვილი გადავიდა უმთავრეს ნაწილზე.

მის მიერ გაშუქებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა მის ელემენტარულ ხაზებში. მოიყვანა ნაც-უმცირსობათა კულტურული და ეკონომიური აყვავების კონკრეტული ფაქტები, რის შემდეგაც შეეხო საქართველოს ებრაელთა კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს.

მომხსენებელმა ორი გზა დასახა: წარმოებაში ჩაბმა და მიწაზე გადასვლა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია უკანასკნელს, რომელსაც შეაქვს ძირფესვიანი გარდატეხა ძველ ყოფაში.

როგორც კონკრეტული მაგალითები, დაასახელა უკვე ჩამოყალიბებული კოლმეურნეობები ტირიფონის ველზე, წითელ გორაზე და ახალციხეში.

მომხსენებელს არ გამოჰპარვია აგრეთვე მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების არსებობა, საკმაოდ ვრცლად შეჩერდა მისი მნიშვნელობის შესახებ და აუცილებელ საჭიროდ სცნო ადგილობრივად მემმს-ის განყოფილების დაარსება.

ყოველივე ამის შემდეგ ამხ. სერგომ მთავრობისა და პარტიის დავალებით განაცხადა:

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონი საქართველოში განსაკუთრებით ღარიბია, რაც გამოიხატება მიწების კრიზისში, ჩვენ მაინც გადავსწყვიტეთ გამოვყოთ ჯერჯერობით 20 ჰექტარი მიწა ადგილობრივი მშრომელი და ღარიბლატაკი ებრაელობის მიწაზე მოსაწყობად. ამგვარად, როგორც ხედავთ, მთავრობა გაძლევთ ადგილებს, რათა ჩამოაყალიბოთ ებრაელთა კოლმეურნეობა. ეხლა საჭიროა, მსურველები გატარდეთ რეგისტრაციაში, რათა სასწრაფოდ, ბოლშევიკური დამკვრელი ტემპებით შეუდგეთ კოლმეურნეობის მოწყობას. სიძნელეები გვექნება, მაგრამ ჩვენ უკან დახევა არ გვჩვევია, ჩვენ შევსძლებთ გადავლახოთ ყველა დაბრკოლებები — რათა ჩვენებური ებრაელი გაბედულად დავაჯინოთ ტრაქტორზე. და როდესაც ამას მივაღწევთ, როდესაც ყველა ჩვენი მტრები დაინახავენ, რომ შრომის მოყვარე ებრაელი დააქროლებს ტრაქტორს საბჭოთა მინდვრებზე — მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენ მოვახდინეთ მთელი რევოლუცია საქართველოს ებრაელთა ყოფაცხოვრებაში.

აღფრთოვანებული მასის ძახილის ქვეშ: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას“— მომხსენებელმა დაასრულა სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვეწერები პირველი! — განაცხადა მიშაელ თეთრუა-შვილმა.

— ჩამწერე! — მიჰყვა მოშეხაიმ ელიაშვილი.

— მეც! — მიემატა შემუელ ჩანჩალაშვილი.

მათ შემდეგ ისმოდა გაბედულად:

— ელხანან კაცოშვილი!

— დავით ქონაშვილი!

— იეუდა დავარაშვილი!

— მოშე თავდიდიშვილი!

— არონ კრიხელი!

— სარა ბინიაშვილი!

— ნათან ხახიაშვილი!

მეტი მსურველი არ იყო. სერგომ დაითვალა ათი ოჯახი. რიცხვი ემცირა, ხოლო სოციალური შემადგენლობა კი ზედმიწევნით დამაკმაყოფილებელი იყო: ჩაწერილები წარმოადგენდენ ულარიბეს ნაწილს.

უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია შემარიას გვერდზე მდგარმა თავისი უალაგო ხუმრობით:

— აღარავინა ხართ მუშტარი?

მაშინ შემარია წამოდგა წინ და ითხოვა სიტყვა:

— მე მთელი ხალხი მიცნობს. ყველასთან კარგი მიმიძღვის და ჩემი ცუდის მთქმელი ძვირად გამოვა.

— მართალია, მართალი! - დაემოწმა ვილაც.

— ამიტომაც — განაგრძო შემარიამ ისე, თითქოს მიმართავდა მხოლოდ სერგო იაშვილს — ხალხმა იცის, რომ მე იმას ურჩევ მხოლოდ კარგს. მე გული შემტკივა ჩვენს ღარიბებზე და დღევანდელ საქმეს რომ ვუყურებ, ვაქეჟილს გატეხილი სჯობია, პირდაპირ უნდა ვსთქვა, რომ ეს იმათი დალუპვაა. ამ უბედურებს არც კი ესმით რაში ეწერებიან. თქვენ ჩვენი მთავრობა ხართ, ღმერთმა გაცოცხლოთ, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით ჩვენი რჯულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონები. ისრაელიშვილს არასოდეს არ უთოხნია მიწა, მისი ხელობა—ვაჭრობა იყო. მეც კი მაქვს მიწები, მაგრამ ყველამ იცის, რომ ქრისტიანები მყავდა დაქირავებული და ისინი ამუშავებდენ, რადგან ეს ჩვენი ხელობა არ არის. ტყუილად კი არ დაგვცინიან ქრისტიანები „ურიებმა ხორბალი რო დათესოთ არშინს მოიმკითო“. ეს მართალია ბატონო სერგო, გლეხობა ჩვენი ხალხის საქმე არ არის. თუ კარგი გინდათ ჩვენი ხალხისათვის—მაშინ დაურიგეთ ფართალი, წვრიმალი, ნალოგებს ნულარ შეგვაწერთ და ვაჭრობის საქმე გაგვიხსენით, როგორც საჭიროა. თუ გნებავთ კითხეთ ამ ხალხს. მართალს არ ვამბობ, ჯამაათო?

— მართალია, ბატონო!

— ოქროს სიტყვებია, რაც შემარიამ მოგახსენათ....

გაისმა აქა იქ გაუბედავათ, ხოლო შემარია განაგრძობდა:

— ვინც კოლექტივში ჩაეწერენ, მაგათ ჭკუა არ მოეთხოვებათ. ჯიბეში არაფერი აქვთ და სახლში იმიტომ, რომ თავიდანვე ზარმაცები იყვნენ. ჩვენი ხალხი მაგათ ჭკუას ვერ გაჭყვება.

— ღმერთმა გიწიოს ჩემი წვრილი ობლების ცოდვა, შემარია, შენ თუ სიმართლეს არ ამბობდე! გეყოფა რაც შიმშილით ამოგვხოცე მთელი ოჯახი. აღარ გვინდა შენი ყმობა. მთელი სიცოცხლე გადაგალიეთ და ახლა იძახი ზარმაცები და უჭკუები არიანო? ოოჰ, დაიწვა იმ ღმერთის სამართალი, რომელმაც შენ ფული მოგცა და ჩვენი თავი კი შენ დაგიმორჩილა! ძმებო! ისრაელებო! აღარ გვინდა მდიდრების ბატონობა! მთავრობა მიწებს გვაძლევს, ვიმუშაოთ ერთგულად მიწებზე. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

ეს იყო ახლად ჩაწერილი კოლმეურნე ქალი სარა ბინიაშვილი, რომელსაც თავისი წვრილი შვილები გარს შემოხვეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქნა ხმაურობა. ებრაელთა მასა უჩვეული იყო ასეთი ხასიათის კრებებისადმი და დისციპლინა ძნელი დასამყარებელი იყო. შეიქნა ჯგუფური ლაპარაკი და აზრთა ხმამაღალი გაცვლა-გამოცვლა.

მიშაელმა ძლივს დააწყნარა მოლაპარაკენი, რის შედეგაც ავტორიტეტული კილოთი, რომელიც დაეტყო მას ამ ბოლო დროს—განაცხადა:

— ამხანაგებო! შემარიას გამოსვლა ეს იყო პირწავარდნილი პროვოკაცია და ჩვენი კლასობრივი მტრის გამოძრომა. არაფერი განსხვავება არ არის ანტისემიტების და შემარიას შორის. თქვენ ყველანი ერთნაირ ჰანგზე მღერიხართ, გინდათ სახელი გაგვიტეხოთ. ჩვენთვის ნუ სწუხართ, ნუ გვიწევთ დათვურ სამსახურს. ისიც გეყოფათ, რაც აქამდე შეგრჩათ, გესმით თქვენ თუ არა? რა თქმაა, რომ ხორბალს დავთესავთ და არშინს მოვიმკით? ჩვენ რასაც დავთესავთ იმას მოვიმკით, მხოლოთ თქვენ კი დაგჭირდებათ პასუხი აგოთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. დღეს მშრომელთა მთავრობაა და არა შემარიას მთავრობა. დიდი ხანი არაა, რაც თვითონ მე თავი დავიხსენი მაგის კლანჭებიდან. დღეს აღარ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს უკან დამაბრუნოს. ძმებო, მშრომელო ისრაელებო! ნუ აჰყვებით მაგის პროვოკაციას და ერთსულოვნად გავაკეთოთ ჩვენი მომავლის საქმე. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ მშრომელ ქართველებს. პირიქით ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა გადაიქცეს სანიმუშოდ მთელ რაიონში.

— მე ჩემი ვთქვი და ვინ მართალი იქნება, ისიც მალე გამოჩნდება—წყნარად გადმოისროლა შემარიამ და შეავიდა სალოცავში.

— ყარბითი, ყარბითი!—დაიძახა ბებერმა იონამ.

მიშაელი გაბრაზდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისაც უნდა წავიდეს და ილოცოს. დე, ხელს ნუ შეგვიშლიან. ჩვენ კი ამხანაგო კოლმეურნენო, დავრჩეთ და ჩვენი საქმე გავაგრძელოთ. საჭიროა ავირჩიოთ დროებითი გამგეობა.

ხალხის ნახევარი სალოცავში შევიდა, ხოლო ახლად ჩაწერილნი და ცნობისმოყვარენი უფრო შემჭიდროებით შემოეხვიენ მაგიდას.

დროებით გამგეობაში არჩეულ იქნენ: ნათან ხახიაშვილი, სარა ბინიაშვილი და მიშაელ თეთრუაშვილი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ — მიშაელ თეთრუაშვილი.

მიშაელის წინადადებით კოლმეურნეობის სახელწოდება გააფორმეს შემდეგნაირად:

„ებრაელთა კოლმეურნეობა „წინსვლა“ ამხ. სერგო იაშვილის სახელობისა“.

სახელწოდება მიღებული იქნა ხანგრძლივი ტაშის კვრით.

სალოცავიდან მოისმოდა ლოცვის ხმები, რომლებშიაც ჩართული იყო ვედრება ღმერთისადმი და გულის წყრომა „უკულმართი დროების“ გამო.

სალოცავის ეზოში კი მომავალი კოლმეურნენი ადგენდენ სახვალიო პროგრამას და ინაწილებდენ სამუშაოს.

3

გამოყოფილი ადგილების უმეტესობა ტყიანი იყო, რომელთაც წინედ არავინ ამუშავებდა. საჭირო იყო უზარმაზარი ხეების დაჭრა, შემდეგ მათი ძირფესვიანად ამოგდება, საფუძვლიანი გასუფთავება, ალაგ ალაგ პატარა ჭაობების ამოშრობა და სხვა სამუშაოების შესრულება.

გეგმის მიხედვით მომავალი წლის გაზაფხულამდე უნდა გაეშენებინათ აგრეთვე ერთი საერთო საცხოვრებელი, ერთი ბოსელი და ერთი საქათმე.

განზრახული იყო სამასამდე ქათმის, ორიოდე ცხენისა და ოთხი ულელი ხარის შეძენა.

მუშაობას რო შეუდგენ—შემოდგომა იყო.

ხანდახან გამოიკლიდა მათთან რაიონის აგრონომი რჩევა-დარიგების მისაცემად.

პირველ ხანებში ოფლი სდიოდათ „ზომაზე მეტი“ და ეძნელებოდათ მუშაობა.

მოდიოდენ ცნობის მოყვარენი, დგებოდენ ლობის იქით და უკვირდებოდენ მათ მუშაობას.

ხშირი იყო ასეთი ლაპარაკი:

— ქალი კი არა, ჯადოქარია. ერთი შეხედეთ ბინიაშვილის ქვრივს, როგორ ასწორებს მიწას.

— წელში კი მაგრად წყდებიან. შუბლიდან ოფლი გადმოსდით.

— ესაა ძმაო, გლეხური ციებ-ცხელება.

—შენც და მეც რო მაგათთან ვიყოთ, ჩვენი საქმეც წინ იქნება. მაგათი გასაჭირი ეს ზამთარია, გაზაფხულზე პურს დასთესენ და შემოდგომაზე უკვე თავისი მოსავალი ექნებათ.

შემარიას აგენტებიც ხშირად დადიოდენ და თავისი აზრებით ცდილობდენ მომუშავეთათვის ხასიათის გაფუჭებას.

—როდის ყოფილა არონ კრიხელი ასე ვირივით რო მუშაობდა!

—მალე მხარბეჭზე კუზი ამოუვა!

—ელხანანს ერთი თვის სიცოცხლე არა აქვს, ჭლექიანს დაეგვანა.

—კაცი რო უმადური გამოვა, იმას სასაფლაო გაასწორებს. ამათმა თავის ხეთქამ ამ გატიელებულ ტყეში სჯობია, არა? შემარიას საქმე, ოქროს საქმე ხელიდან გაუშვეს და გლახაობა დაიწყეს.

—ე რა ხუხულას სდგამენ თუ ძმა ხარ. ლურსმანი ხო დასჭირდებათ, მიადგებიან შემარიას, მარა შავ ქვას მისცემს ის.

როცა მიშაელი გამოჩნდებოდა შორი ახლო, ასეთ გამალიზიანებელ ლაპარაკს შესწყვეტავდენ, ხოლო ისე ნელა, შეპარვით ეკითხებოდენ, რათა სხვებსაც გაეგონათ:

—როგორ შეეჩვიეთ ამხა...ნაგო მიშაელ ამ ახალ საქმეს? ჩვენი ხალხი ხომ არ იღლება ზედმეტათ?

მიშაელი თავს მოიფხანდა და უპასუხებდა:

—ვინც არ შრომობს, ის არ სჭამს.

მიშაელი ენტუზიასტი იყო. ჰგრძნობდა, რომ მისი თვისება აუცილებელი იყო ასეთ დიდ საქმეში.

იგი მუშაობდა შეუსვენებლივ, დაღლილობას არ იმჩნევდა და თავის მაგალითით სხვებსაც ამხნევებდა. მას შეეძლო სხვების აღფრთოვანება, დაინტერესება და მიუხედავად ამისა, რომ იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო, ამხანაგების შორის სარგებლობდა სათანადო პატივისცემით.

არ უყვარდა არც ერთი დაკარგული წუთი.

—მალე ზამთარი დადგება. მანამდე უნდა მოვასწროთ ჩვენს მიერ დასახული გეგმის შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ელხანან, ნუ ჩაფიქრებულხარ! გადააბრუნე ეგ კორძი.

—დღეს საქათმის დახურვა უნდა დავასრულოთ. გავარდი ლურსმნების მოსატანად.

და ასე განუწყვეტლივ. თვითონაც მუშაობდა და არც სხვებს აჩერებდა უსაქმოდ.

ელხანანი ცარიელი დაბრუნდა და თავმჯდომარეს განუცხადა:

—შემარიას მეტს ლურსმნები არავის არ აქვს. შემარიამ კი გამომლანძღა, ისრაელის რჯულის მოღალატე დამიძახა და ცარიელი გამომაგდო.

მიშაელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ სთქვა:

—უბედური..... თავისი ხელით იმზადებს სამარეს.

და მიმართა ამხანაგებს:

—ამხანაგებო! ეს არაფერია. უმთავრესი ჩვენი ნებაა. დღეს ყავრები დავხუროთ ქვებით, რომ ქარმა არ გაჰფანტოს. ხვალ ჩვენი აგრონომი მიდის ქალაქში და ლურსმნებს ჩამოგვიტანს. ხოლო რაც შეეხება შემარიას ასეთ აშკარა თავხედობას, ამან არ შეგაწუხოთ. ჩვენს მთავრობას შეუძლია შემარისთანა ხალხს გაუსწორდეს. ის გვებრძვის დღედაღამ, ის ყოველ გზა ნაბიჯზე გვიქმნის სიძნელეებს, იმას სურს კოლექტივი დაგვირღვიოს, მაგრამ არც ჩვენ გვძინავს. ჩვენც გვაქვს ჩვენი ანგარიშები შემარიასთან. ასე არაა, ამხანაგებო?

და ამხანაგებმა უპასუხეს:

—სწორია მიშაელ! გენაცვალე სულში...

—ნეტავი შენისთანა შვილები დამეზრდებოდეს, სხვა არაფერი მინდა...

და შემდეგ განაგრძეს:

—კულაკებზე რალაცა ქალალდი რო მოვიდა ცენტრიდან—ალბათ ჩვენში ეგ შემარიას შეეხება.

—შემარიას რასაკვირველია. რამოდენიმე სხვებიც გამოჩნდება...

—შემარიას ზედმეტი მიწები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ელხანან, ნუ ჩაფიქრებულხარ! გადააბრუნე ეგ კორძი.

—დღეს საქათმის დახურვა უნდა დავასრულოთ. გავარდი ლურსმნების მოსატანად.

და ასე განუწყვეტლივ. თვითონაც მუშაობდა და არც სხვებს აჩერებდა უსაქმოდ.

ელხანანი ცარიელი დაბრუნდა და თავმჯდომარეს განუცხადა:

—შემარიას მეტს ლურსმნები არავის არ აქვს. შემარიამ კი გამომლანძღა, ისრაელის რჯულის მოღალატე დამიძახა და ცარიელი გამომაგდო.

მიშაელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ სთქვა:

—უბედური..... თავისი ხელით იმზადებს სამარეს.

და მიმართა ამხანაგებს:

— ამხანაგებო! ეს არაფერია. უმთავრესი ჩვენი ნებაა. დღეს ყავრები დავხუროთ ქვებით, რომ ქარმა არ გაჰფანტოს. ხვალ ჩვენი აგრონომი მიდის ქალაქში და ლურსმნებს ჩამოგვიტანს. ხოლო რაც შეეხება შემარიას ასეთ აშკარა თავხედობას, ამან არ შეგაწუხოთ. ჩვენს მთავრობას შეუძლია შემარისთანა ხალხს გაუსწორდეს. ის გვებრძვის დღედაღამ, ის ყოველ გზა ნაბიჯზე გვიქმნის სიძნელეებს, იმას სურს კოლექტივი დაგვირღვიოს, მაგრამ არც ჩვენ გვძინავს. ჩვენც გვაქვს ჩვენი ანგარიშები შემარიასთან. ასე არაა, ამხანაგებო?

და ამხანაგებმა უპასუხეს:

—სწორია მიშაელ! გენაცვალე სულში...

—ნეტავი შენისთანა შვილები დამეზრდებოდეს, სხვა არაფერი მინდა...

და შემდეგ განაგრძეს:

—კულაკებზე რაღაცა ქაღალდი რო მოვიდა ცენტრიდან—ალბათ ჩვენში ეგ შემარიას შეეხება.

—შემარიას რასაკვირველია. რამოდენიმე სხვებიც გამოჩნდება...

—შემარიას ზედმეტი მიწები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ხშირად მაფიქრებს იმის ზედმეტი მიწა.

— ზედმეტი მიწა, თვარა მისი ბიჭობითაა შეძენილი?! ჩვენი მხარბეჭითაა შენაძენი ყოველი მისი მტკაველი მიწა.

— შემარიას ყოველ კაპეიკში ჩვენი სისხლია ვედროობით ჩალვრილი.

— შემარიას მიწები ჩვენ კოლექტივთან ახლოსაა.

— შემირიას მიწები ჩვენი კოლექტივის იქნება! — და აბოლოვა მიშაელმა.

ყავრებზე ქვები დაალაგეს.

საქათმე თუმცა ულურსმნებოდ, მაგრამ მაინც დასრულებული იყო. არასოდეს არ უგრძვნიათ ასეთი სიხარული, როგორც ეხლა, როდესაც ნახეს თავისი ხელით დასრულებული პირველი საერთო შენობა.

მეორე დღეს შეუდგენ ბოსელს.

მიშაელმა აუხსნა ამხანაგებს სოციალისტური შეჯიბრის მნიშვნელობა. გამოიწვიეს ერთმანეთი.

სიხარულის ექსტაზით და შეგნებით შეუდგენ მუშაობას.

— არის თუ არა კოლექტიური სისხლი ძარღვებში?

— იკითხა მიშაელმა.

— არის, მიშაელ!

— მაშ არც ერთი გაცდენილი წუთი!

ადამიანები მუშაობდენ ელექტრონის ტემპებით.

ფიცარი ფიცარს ეკვრებოდა და იქმნებოდა ახალი ყოფის საფუძველი. მტრები ნიშნის მოგებით და სიცილით გაიძახოდენ:

— კოლექტივის ხალხი გადარეულაო...

ხოლო კოლექტივის ხალხი, შომავლისადმი ალსავსე რწმენით, აღფრთოვანებულნი და მხიარულნი მუშაობდენ შეუსვენებლივ და ერთიერთმანეთს გადასძახოდენ:

— მოშეხაიმ, მარჯვედ!

— არონ კრიხელო! არ გიწიოს შემარიას წყევლამ...

— ჩემი უფრო მალე უწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადონაი [1]) ვეღარ უშველის შემარიას, წასულია მისი საქმე.

— კოლექტივი იმარჯვებს!

— ელხანან, ფიცრები გვერდზე!

— სარა, მიწა აქეთ!

— მიშაელ, მომეშველე!

— იეუდას არ ჩამორჩეთ.

— ტემპები, ძმებო, ტემპები! „წინსვლა“ გვქვია.

— დღეს სერგო იაშვილი უნდა გვეწვიოს. არ შევრცხვეთ ჩვენს შეფთან.

და ასე. განუწყვეტელი მუშაობა და აღფრთოვანება. მუშაობა და ენტუზიაზმი, რომელიც ხშირად მთავრდებოდა ერთსულოვანი სიმღერით:

„თურმე დადის გვემუქრება: „ქვეყანა რამ გადარია
კოლექტივი დამარცხდება, ამას ვამბობ შემარია“.
დღეს რო ცვივა ხიდან ხილი იმას ჰქვია ტყემალია
ხვალ რო მაგრად აკვნესდება მას ერქმევა შემარია“.

* * *

— მირჩიე რამე დედაკაცო, მირჩიე! ხომ ხედავ, მიწების ჩამორთმევა უნდათ იმ ყაჩაღებს. რას გაჩუმებულხარ? რა ვქნა, როგორ მოვიქცე, სად წავიდე? მაგრამ შენ რას გეკითხები? შენ და ჩემს ძმა აბიშაის ერთნაირი ჭკუა გაქვთ. ტყუილად კი არ სწერია ჩვენს თორაში, ღმერთმა დედაკაცს მისცა გრძელი თმა და მოკლე ჭკუაო.

— იგყარ აშემ ბეხა ასატან[2]). რას ჩამაცივდი კაცო. აკი არასოდეს არ მეკითხებოდი ჭკუას და ეხლა რა მოგივიდა?

---

1) ადონაი—ღმერთი.

2) „შემოგყაროს ღმერთმა ბშმაკი“- ძველი ბიბლიური თქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ეხლა გეკითხები. სიტყვამ მოიტანა და ისე ვთქვი. შემარიამ თვითონ იცის თავისი გზები. შემარიას ბევრი გზა აქვს. შემარიას ასი ხვრელი აქვს და ათასი ჭუჭრუტანა. შემარია მუქთახორებს არ გაახარებს. შემარია ააკვნესებს იმათ დედებსა და ცოლშვილს. შემარია ბოლოს მოუღებს იმათ ხუხულას. გესმის თუ არა, რუთ?

რუთს ესმოდა თავისი ქმრის შემარიას გულისწყრომა. რუთს არ აკვირვებდა, თუ რისთვის გამოიცვალა ამ ბოლო დროს ქმრის ხასიათი. ეხლა როდესაც ჰხედავდა, რომ ქმრის ბრაზი უალრეს წერტილს აღწევდა, უნდოდა რალაც სანუგეშო ეთქვა, მაგრამ ამის მაგივრად რალაც სხვა გამოუვიდა:

— საერთო უნდა იყოს ყველაფერიო... თფუ, დროებას რა უთხრა... მიწებიც, სახლებიც, ცოლებიც, ფულებიც...

— ფულები? ხა, ხა, ხა, ვერ მივართვი. ვისაც ფულები აქვს—იმისია ქვეყანა. თორაშიაც კი სწერია „იეშ მამონ-იეშ ქაბოდ"[1]). ფული—ყველაფერია. ფული—ბატონია. ფული—ღმერთია! ფულით ყველაფერს ვიზამ. ფულს არაფერი არ დაუდგება. გესმის, რუთ?

— მე კი მესმის, მაგრამ შენ რა გააკეთე?

— მე რა გავაკეთე? მე წავალ ქალაქში და მოვნახავ დიდ მთავრობას.

უცბად, რალაც აზრმა გაუელვა თავში და საჩქაროდ დაიძახა:

— აბიშაი!

ოთახში შემოვიდა უხეში შეხედულების და მსხვილი მკლავების მქონე ახალგაზრდა.

— ეხლა ღამის თერთმეტია. ძმობაში გამოკლდი, თუ არაფერში არ მარგოდე. წაეთრიე ეხლავე არონ კრიხელთან, ქუჩაში არავინ შეგამჩნიოს, რომ იმასთან იყავი, ჩუმად უთხარი, რომ შემარია გიბარებს ეხლავე-თქო. ცალ-

1) „არის ქონება—არის პატივისცემა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე წამოდით. ისიც გააფრთხილე, არავის უთხრას, თუ ჩემთან მოდის. გაიგე თუ არა რა გითხარი?

აბიშაიმ ცხვირქვეშ გაიმეორა რალაც გაურკვეველი და ოთახიდან გავიდა.

შემარია ვერ ისვენებდა. გაჩქარებული დადიოდა ოთახში:

— სულ იმის ბრალია, იმ ლაწირაკის. შემეცოდა მისი ავადმყოფი დედა. მშიერები კვდებოდენ და მე ხელი გაუწოდე დასახმარებლად. ჩურჩხელები კი არა, საწამლავი უნდა მიმეცა იმისათვის.

რუთი თვალყურს ადევნებდა ქმრის მოძრაობას, თვითონ იჯდა რბილ ტახტზე, მოეკეცა ფეხები და რალაცას ჰქსოვდა. უცებ ქმარი მოუბრუნდა:

— გეყოფა ქსოვა. წადი ეხლა, დაიძინე. მე იმ კაცს მარტო მინდა დავხვდე აქ. სხვა არავინ არ მჭირდება.

რუთი ნელა ჩამოვიდა ტახტიდან და გავიდა.

შემარიამ გამოალო ფანჯარა და ოთახში შემოვიდა მიწურული შემოდგომის ცივი ქარი.

შემარიას მაინც სცხელოდა. თიხის ჭურჭელიდან გადმოასხა წყაროს ცივი წყალი და სამი ჭიქა ზედიზედ დასცალა.

შემდეგ შკაფიდან გადმოალაგა საანგარიშო „შჩოთქი“, ბოთლი არაყი და ნამცხვრები.

დააწყო მაგიდაზე.

დაჯდა მაგიდასთან და შეუდგა მოლოდინს.

როგორი გრძელი ეჩვენებოდა ეს მოლოდინი.

თავში კი როგორც ყოველთვის ათასი ფიქრები ირეოდა:

„რა მეგონა, თუ ერთ კვირაში შიმშილით სული არ ამოხდებოდათ... ისინი კი თავზე შეჯდომას ფიქრობენ. ის ალარ ეყოფათ, რაც მთავრობამ მისცათ, ეხლა მეც უნდათ წამგლიჯონ... როგორ გათავხედდენ... გუშინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონედაბეები[1]) დღეს ბატონები შეიქნენ. რაც დრო გავა, მით უარესი. თუ ძაგათი კოლექტივი გამაგრდა—უნდა ავიკრა ბარგი და გადავსახლდე. მეტი გზა ალარ დამრჩება. ამიტომაც—გათავდა: კოლექტივი უნდა დამარცხდეს, კოლექტივი უნდა დაინგრეს. მე კოლექტივისთანა მტერი არ მყოლია, არ მყავს და არც მეყოლება... რომ ამ საქმეს გადვაყვე, ჩემი გულის წადილი უნდა შევასრულო: მტერს არ გავახარებ... ოოჰ, კომუნისტებო, ამოვარდა თქვენი სახელი... რა ჩემ ჭირად მოიგონეთ ეს კოლექტივები... რა შეგშურდათ შემარია შაფთოშვილისა... დაგეტოვებინეთ ჩემთვის.“

მობეზრდა ჯდომა, წამოდგა და ისევ ფანჯარასთან მივიდა:

„ალბად ყველას სძინავს... არც არავის აწუხებს კოლექტივი... მარტო მე... ჩემთვის მოიცალა იმ დალოცვილმა ღმერთმა... არონ კრიხელიც რო იგვიანებს... ვაი თუ ისიც ალარ მკადრულობს... მაშინ უტირებ მე იმას ყოფას... ანგარიშს გავასწორებინებ უკანასკნელ კაპეიკამდე... კოლექტივს მუცლიდან ამოვანთხევინებ... დეე გაიგოს ქვეყანამ, რომ შემარია შაფთოშვილთან ბრძოლა ასე ადვილი არაა... ლატაკების კოლექტივი და მდიდარი შემარია... ორი ძალაა დღეს ჩვენში... იმ დღეს მიშაელი იძახოდა: ვინ ვისო... ჰო, სწორედ ასეა საქმე: ვინ ვის... კულაკი... მე თქვენ გიჩვენებთ კულაკს... მოიგონეს რალაც გამოტვინებული სახელები, ვითომ ამით უნდათ შეაშინონ ქვეყანა. ვილაცა ნასწავლმა მითხრა კულაკი მუშტიაო... მუშტზე თუა საქმე, მაშინ მართალია, მეც კაი მუშტი მაქვს და აბიშაის კიდევ უკეთესი... თუ ძალიან გინდათ..“

გამოარკვია კაკუნმა. კარებში იდგა არონ კრიხელი.

ლარიბ კოლმეურნეს თვალში ეცა დიდი სინათლე, დიდი ოთახი, დიდი სიმდიდრე.

1) მონედაბე-მათხოვარი

ასეთ ოთახებში სიარულს არონი არ იყო შეჩვეული.

არონს მარტო ახალუხი ეცვა და ისიც ულილებოდ.

სახე გამხდარი ჰქონდა და ეტყობოდა ავადმყოფობის ნიშნები.

მოკრძალებით შემოვიდა და ვიდრე შემარია რამეს ეტყოდა, დაასწრო:

— ძალიან უდროვო დროს დამიბარე, შემარია. რა ვქნა, ცოლშვილი არ დამეხოცოს, მე ჯერ არ შემიძლია შენი ფულის გადახდა.

— დაჯექი—და შემარიამ მიუდგა სკამი მაგიდასთან.

არონი დაჯდა უხერხულად.

შემარიამ დაასხა ორი ჭიქა არაყი.

არონს არაფერი ესმოდა, ხოლო შემარიას კარგად ესმოდა თავისი საქციელი.

— ლეხაიმ [1]) არონ!

— ლეხაიმ შემარია!

შემარიამ კიდევ დასხა.

— აიღე არონ, ნამცხვრები დააყოლე. ჰო ასე, რას მერიდები შე კაი კაცო. პირველად ხო არ მხედავ. ნუ გეშინია ჩემი. ათი თუმანი გმართებს, მეტი ხო არა? თუ გინდა ათ თუმანს სხვასაც გაჩუქებ, შენ მხოლოთ ჭკუით იყავი, შემარიას დაუჯერე და თხოვნა შეასრულე.

ლარიბ არონს ამდენი ფულის გაგონებაზე სიხარულით თვალები გამოუშტერდა და მიუახლოვდა შემარიას.

— რას მიბრძანებ, ბატონო?

— ჯერ ეს მითხარი, როგორ მიდის თქვენი კოლექტივის საქმე?

— წელში ვწყდებით, ბევრი სამუშაოა. მიშაელი არავის გვიცოდებს.

— არც შენ გიცოდებს? შენ ხომ ავად ხარ...

— რაში ეტყობა შეცოდება, ყოველდღე ახალახალ სამუშაოს იგონებს.

---

[1]) ლეხაიმ—იდღეგრძელე, იცოცხლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოლექტივიდან გამოსვლას არავინ აპირობს?

— გამოსვლისა რა მოგახსენო, მხოლოდ შემოსვლა კი ბევრსა ჰსურთ. ოცი ახალი განცხადება მიუღია გამგეობას, მაგრამ ჯერჯერობით ჩუმად ინახავენ.

— ვითომ რისთვ-ს გაჩუმებულან?

— ამ დღეებში მიწები მოგვემატება და მაშინ მივიღებთო.

— მთავრობა კიდევ უმატებს მიწებს?

— ზოგს მთავრობა აძლევს, ზოგიც კიდევ კულაკებს უნდა ჩამოვართვათო.

— შემარია შაფთოშვილსაო, არა?

— ჰო, ასე მოგახსენებენ. საერთო საცხოვრებელი სახლი და ბოსტანი შემარიას მიწებზე უნდა გავაშენოთო.

— მერე ღმერთი ალარ არის ქვეყანაზეო?

— ღმერთი რომ იყოს, შენი ჭირიმე, მაგათ აპატიებს შაბათ დღეს შუშაობას?

— როგორ თუ შაბათ დღეს?

— როგორ და... გუშინ კრება იყო და ასე დაადგინეს შომავალი შაბათი ალარ ვიუქმოთო, გამოცხადებულია დამკვრელ დღეთაო.

— დამკვრელი დღე რაღა ოხრობაა?

— ესე იგი ზომაზე მეტი ვიმუშაოთ, თავი და ჯანი არ უნდა შეეიცოდოთო.

— ხედავთ რა დღეში ხართ ისრაელის შვილებო. ნამდვილი ბატონ-ყმობაა. სად გაგონილა, ვის ახსოვს შაბათ დღეს ისრაელს ემუშაოს? მეორე მიცრაიმია [1]). ფარაყოს [2]) გეზერებია [3]). ეხლა, შე სინიდის დაკარგულო, სიმართლე სთქვი, ჩემთან არ გერჩია?

ირონმა უცბად მოუჭრა:

---

[1]) მიცრაიმ—ეგვიპტე. [2]) ფარაყო—ფარაონი. [3]) გეზერა—აკრძალვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ მართლა მომცემ ას მანეთს და საქმეზე დამაყენებ, მაშინ გამოვალ კოლექტივიდან.

შემარიამ ახედ დახედა თავის სტუმარს, შემდეგ თავი მიაშტერა ჭერს და კარგა ხანს გაჩუმებული იყო. თითქოს რალაც გააახსენდა, წამოდგა, დახურა ფანჯარა და ისევ მიუჯდა მაგიდას. თითები ინერციულად საანგარიშო „შჩოთქისაკენ" მიიწევდენ და რალაცა უაზროს ანგარიშობდენ. შემდეგ უპასუხა:

— ასი მანეთი ძველი, ასი მანეთი ახალი... ესე იგი ორასი მანეთი... ასე... ორასი მანეთი... რა პატარა ფულია... მაგრამ... თანახმა ვარ... მხოლოდ იმ პირობით, რომ კოლექტივში უნდა დარჩე...

— ფულს რალაში მაძლევ?

— კოლექტივში უნდა დარჩე, არონ კრიხელო. კოლექტივის წევრებს უნდა ელაპარაკო ხოლმე, უნდა შეაგნებინო. ციხე შიგნიდან გატყდებაო—არ გაგიგონია? კოლექტივში მე კაცი მინდა—შენისთანა საიმედო ისრაელი. ყოველთვის უნდა შემატყობინო კოლექტივის ამბები და თუ დამჭირდა მომავალში—რაიმე დავალებასაც მოგცემ. აბა ახლა გადასწყვიტე: ან ძველი ვალი გადამიხადე ეხლავე, ან შეუდექი ჩემს საქმეს.

არონი ხმაამოუღებლად იდგა, მაგრამ შემარიამ იცოდა ფულის ძალა. მაგიდაზე გაჩნდა ათი ჩერვონეცი.

არონს ერთ წუთში თვალები გაებერა.

შემარიამ მიიყვანა მეზუზასთან [1]) და დააფიცა.

ამის შემდეგ ფულები გადავიდა არონის ჯიბეში.

შემარიას დაუბრუნდა კარგი განწყობილება.

— ფულზე არ იდარდო, არონ. დაგჭირდება — კიდევ მოგცემ. მე და შენ დღეიდან კოლექტივის მტრები ვართ. მე გარედ—შენ შიგნით. მხოლოდ—სუ! კაცმა არ გაიგოს

---

[1]) მეზუზა — ყოველ მორწმუნე ებრაელს კარებზე მიკრული აქვს რკინის ყუთში გახვეული ებრ. ლოცვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კავშირი, თორემ ვაი შენი ბრალი! ეხლა ერთი კიდევ გადავკრათ, კარგია ძილის წინ. ლეხაიმ!

— ლეხაიმ, შემარია!

* * *

ხუთშაბათ დილით, როდესაც კოლექტივის წევრები ჩვეულებრივად სამუშაოზე იყვნენ გასულნი, კოხტად შეკაზმულ უნაგირიან ცხენიდან გადმოხტა შემარია, ცხენი დაბა ეზოში და თვითონ შევიდა პატარა ქოხში, რომელშიაც იწვა ავადმყოფი სიფორი.

— დილა მშვიდობისა სიფორ!

— მობრძანდი, შემარია! ვაიმე, რას შევესწარი. თვითონ შენ იკადრე ჩემთან მობრძანება და მე კი ავადმყოფი უნდა ვიწვე.

— არა უშავს, ნუ შესწუხდები. მე მაინც მეჩქარება, ქალაქში მივდივარ და გზათ შემოგიარე. ვიცოდი შენი მიშაელი სახლში არ იყო, თორემ რას მოვიდოდი? ხაიმი და ზილფა სადღა არიან?

— სკოლაში შენი ჭირიმე. მიშაელმა სკოლაში მიაბარა. მე ალარაფერს მეკითხება, რასაც უნდა იმას სჩადის.

— მეც იმაზე მოვედი სიფორ, რომ მიშაელის ალვირახსნილობას საზღვარი არა აქვს. ისრაელის რჯულის და ისრაელის ხალხის გაბიაბურებას ლმერთი არ ძოუთმენს. არა!

— ეგ არის, რომ მკლავს...

— რამდენი ხანია ქალაქში არ ვყოფილვარ. ვცხოვრობდი ჩემთვის წყნარად. შენმა ურჯულო შვილმა ეხლა გამიხადა ქალაქში სარბენად საქმე: ესაო და კულაკიაო, ზედმეტი მიწები უნდა ჩამოვართვათო. არმად მაგაზე ჩემი ამაგი! როცა მშიერი კვდებოდით—ჩემით გედგათ სული და ეხლა რალაც ორი სიტყვა უსწავლია და ლამის არის გადამასახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვქნა, შემარია, ამოწყვეტილმა, რა დღეს შევესწარი; რომ არ იყო ჩემი მიშაელი—მაგისთანა, ვინ მომიწამლა, ვინ დამიღუპა? ვინ გამიმწარა ამაზე უარესად ჩემი სიბერე?

—ჩაეწერა ბალშევიკებში და გადაირია. ღმერთი სულ დაავიწყდა. იცი ქალო რა გადაუწყვეტიათ?

— რა? —გაფითრებით შეეკითხა სიფორი და მოემზადა რაღაცა საშინელი ამბის მოსასმენად.

— შაბათს აღარ ვილოცოთ და მის მაგიერ ვიმუშაოთო.

სიფორს არაფერი არ უპასუხნია, მხოლოდ მის გათეთრებულ სახეზე ნათლად ამოიკითხა შემარიამ ის სულიერი ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა მოხუცი დედაკაცის არსებაში.

* * *

შაბათს დილით მოხდა ის, რისაც ძალიან ეშინოდა მიშაელს. იგი დილა ადრიან ადგა და ტანისამოსს იცვამდა.

— მიშაელ!—შემოესმა დედის ხმა.

მოხუც სიფორს მთელი ღამე ტკივილები აწუხებდა. გვერდიდან გვერდზე ბრუნავდა, ოხრავდა და კვნესოდა.

ხაიმი და ზილფა რიგრიგობით სდარაჯობდენ.

მიშაელი აივანზე იწვა ჩვეულებრივად. ეგონა, დილაზე ადრე მაინც ჩაეძინებოდა დედას, მაგრამ მოსტყუვდა. შემოესმა თუ არა დედის ძახილი, თუმცა გაუბედავათ, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ შევიდა მასთან.

— შვილო, საყვარელო მიშაელ!... მე მალე მოვკვდები... ხომ წამიკითხავ კადიშს[1])?..

— რაებს ლაპარაკობ დედაჩემო... ნუ ფიქრობ ცუდ რამეზე... კარგად იქნები... მალე, სულ მალე ქალაქიდან ახალი ექიმი ჩამოვა...

— არა, შვილო... ექიმი ველარ მიშველის... ღმერთიდან უწყება მაქვს მიღებული... უნდა წავიდე მასთან... მოუარე

[1]) კადიში—ლოცვა გადაცვალებულის სულის მოსახსენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს უნცროს დისწულებს... შემომფიცე, რომ კადიშს წამიკითხავ...

მიშაელი ჩუმად იყო და თავი ჩაეღო დაბლა.

უნცროს და-ძმას თავი მიეყრდნოთ ფანჯარაზე და ჩასძინებოდათ.

დედა არ ეშვებოდა შვილს:

— არ გინდა შემომფიცო?... მიშაელ, რისთვის ადექი დღეს ასე ადრე?

მიშაელი ხმას არ იღებდა.

— მიშაელ!... რა ურჯული ხარ... ვერა ხედავ... ძალა აღარ აქვს.... ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია... მიპასუხე სიმართლე...

— საქმე მქონდა.

— რა საქმე?...

— კოლექტივში.

— დღეს ხომ შაბათია?...

მიშაელი ისევ გაჩუმდა.

— მითხარი... შაბათია... თუ არა?... ოოჰ, შენი... დაბადების წუთი... ვაიმე უბედურს... პატრონი... ა...რა მყავს... ხაიმ... ხაიმ... ჩემო საყვარელო შვილიშვილო... ადექი... გამო...იღვი...ძე... ვკვდე...ბი... შენ მაინც... წამი...კით...ხე კა-დი-ში... მიშაელი .. აღარ წამი...კითხავს...

ბავშვებმა გამოიღვიძეს და ტირილი დაიწყეს.

მოხუც სიფორის აღშფოთებამ მიაღწია უკანასკნელ საზღვრამდე, გაუსკდა გული და სამუდამოდ დადუმდა.

მიშაელი დაემხო პირქვე და თავი დასდო უსულო გვამზე.

და არ იცოდა სიზმრად თუ ცხადად, მას ესმოდა ამ დროს ქუჩიდან საშინელი ამბები:

— ციცხლი!

— ბოსელი იწვის!

— საქათმე დაიწვა!

— კოლექტივი იწვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვიშ—ვე—ლეთ!

— მიშაელი სადაა? რისთვის დაიგვიანა?

— საჩქაროდ თავმჯდომარეს შეატყობინეთ..

და მიშაელი დარწმუნდა ამ ხმების რეალობაში მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს წამოადგენ კოლექტივის წევრები.

ხოლო კოლექტივის წევრებს ენა დაებათ, როდესაც დაინახეს თავისი თავმჯდომარე უსულო დედის გვამთან.

გამოერკვა ისევ მიშაელი:

დედა დაილუპა და ალარ შეიძლებოდა მისი შველა.

კოლექტივი ილუპებოდა და საჩქაროდ საჭირო იყო მისი შველა.

— ერთმა საჩქაროდ აცნობოს სერგოს. მე კი მოვდივარ თქვენთან.

გავარდა მიშაელი. უკან მისდევდა ხაიმის და ზილფას გულსაკლავი ქვითინი.

გაშმაგებულმა ხალხმა უკანასკნელი ფიცრები გამოსტაცა სტიქიას.

სერგო—არავის უნახავს ასეთი განრისხებული.

სამაგიეროდ, როდესაც განვლო ცეცხლის სუსხმა და გადახედა გულმოკლულ კოლმეურნეთ — განაცხადა:

— დაილუპა საქათმე და ბოსელი. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ამავე ადგილზე აგებულ იქნება უკეთესი შენობები. მთელი რაიონის კოლმეურნეები იმუშავებენ ერთ დღეს თქვენთვის და მტერს არ გაახარებენ. ხოლო რაც შეეხება ამ ცეცხლს—ჩვენ მალე აღმოვაჩენთ მის წამკიდებლებს და არ დავინდობთ, ვინც არ უნდა იყოს იგი.

მიშაელს თავში გაუელვა: „შემარია“.

ერთმა კოლმეურნემ მისი ფიქრი საჯარო გახადა:

— ეს შემარიას საქმეა...

მაგრამ ვილამაც, მოშორებით უპასუხა:

— შემარია რა შუაშია, სამი დღეა ქალაქშია წასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

განვლო ერთმა წელმა.

ბევრი რამ საყურადღებო მოხდა ამ ხნის განმავლობაში.

ცეცხლის წამკიდებლის კვალს ვერ მიაგნეს.

შემარიასადმი წაყენებული ბრალდება უსაფუძლო აღმოჩნდა იმ მოსაზრებით, რომ შემარია ხანძრის დროს არ იმყოფებოდა ადგილობრივად.

სამაგიეროდ, ვერ უშველა ქალაქში ყოფნამ. ჩამოერთვა ზედმეტი მიწები და გადაეცა კოლექტივს.

კოლექტივში ათი ოჯახის ნაცლად უკვე ირიცხებოდა ოცდაათი.

გააშენეს ახალი ბოსელი და საქათმე—გაცილებით უფრო დიდი ზომისა ძველთან შედარებით.

დასრულდა პირველი საერთო საცხოვრებელის აგება და უკვე შეუდგენ მეორეს.

გაზაფხულის თესვა ბრწყინვალედ ჩატარდა სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ნიშნის ქვეშ.

ჩამოყალიბდა მემმსის ადგილობრივი განყოფილება. თავმჯდომარეობა დაევალა სერგო იაშვილს, ხოლო მისი მოადგილეობა—მიშაელ თეთრუაშვილს.

ცენტრი და რაიონი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდენ კოლმეურნეობა „წინსვლას.“

„წინსვლამ“ მოიპოვა ნდობა და სიყვარული.

მეზობელი კოლმეურნე გლეხები ეძახოდენ:

—ებრაელთა კოლექტივში მეტისმეტად შრომის მოყვარე ხალხიაო...

ებრაელ ღარიბ-ღატაკთა მასაში ნელნელა შეიპარა კოლექტივის იდეა. წინანდელი ეპვის მაგივრად, დღეს ყოველი მათგანი ჰფიქრობდა კოლექტივში მოხვედრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერმა იონამ ხელი აიღო „შამაშობაზე“ [1]) და კოლექტივში განცხადება შეიტანა.

ამ მოვლენას შემარია ხსნიდა თავისებურად:

— კოლექტივი გადანდები ავადმყოფობაა...

მიშაელისა და არონ კრიხელის შორის კოლექტივის არა წევრების აზრით „შავმა კატამ გაირბინა“.

არონ კრიხელს დაეტყო სიზარმაცე. დღეში ერთ საათს ძლივს მუშაობდა სინდისიერად, დანარჩენ დროს ხუმრობასა და გაუგებარი აზრების გავრცელებას ანდომებდა.

თავდაპირველად მიშაელი შრომის წიგნაკში უწერდა ფაქტიური შრომის საათებს, ხოლო ამანაც რო არ გასჭრა, დააყენა საერთო კრებაზე მისი კოლექტივში დატოვების საკითხი.

არონ კრიხელი ხმის უმეტესობით გარიცხულ იქნა კოლექტივიდან.

მის ადგილას მიღებულ იქნა ყოფილი შამაში ბებერი იონა, რომელმაც — მიუხედავათ თავის სიბერისა — პირველი დღიდანვე აჩვენა ამხანაგებს შრომისა და მუყაითობის განსაკუთრებული მაგალითი.

სამაგიეროდ შემარიამ „შეიცოდა“ არონ კრიხელი და მისი წვრილი ცოლშვილი და მორწმუნეთა საერთო კრებაზე „შამაშის“ თანამდებობაზე „გადარჯულებული“ ბებერი იონას ნაცვლად დაანიშვნინა არონ კრიხელი.

კოლექტივის წევრებმა ეს ამბავი რომ გაიგეს ბევრი იცინეს და ბებერ იონას ერთსულოვნად მიულოცეს.

ერთმანეთში სიამოვნებით მსჯელობდენ:

— როლები გასცვალეს...

— ბებერი იონა წინ წავიდა. უშნო არონიკამ კი უკან უკან დაიწყო ჩანჩალი.

— აბა რა ხეირი დაეყრებოდა შემარიას ლაქიას?

---

[1]) შამაშ—სალოცავის დარაჯი

...ახლოვდებოდა მოსავლის აკრეფის დრო.
ემზადებოდა კოლექტივი. ემზადებოდა რაიონი.
განა უბრალო საქმე იყო?
უჩვეულო ამბავი იყო, რომლის სახელი ყველამ იცოდა:
პირველი კოლექტიური მოსავალი.

* * *

ამ შემოდგომაზე კოლმეურნეობაში ბუზები განსაკუთრებით მწარედ იკბ. ნებოდენ.

მათ არ ჩამორჩებოდათ არც შემარია.

შემარია შაფთოშვილმა დიდი ხანია დაჰკარგა წონასწორობა.

მისი გზები თითქმის ამოწურული იყო და მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ცოფიანი ძალლივით დადიოდა ქუჩიდან სახლში, სახლიდან ქუჩაში. დუქნები დაჰკეტა და სამაგიეროდ უხშირა სალოცავში სიარულს, სადაც სრული საშუალება ჰქონდა ღმერთისათვის სამდურავი ეთქვა.

ამოსწურა ყვირილი, მუქარა, გინება.

ვერ გასჭრა რჯულით დაშინებამ და ათასმა კომბინაციებმა: კოლექტივი იზრდებოდა ყოველდღიურად.

იზრდებოდა მიუხედავად ხანძარისა, მიუხედავად გააფთრებული ბრძოლისა.

ერთი კვირით ხელი მიჰყო ქველმოქმედებას.

ამანაც ვერ მოიტანა შესაფერი ნაყოფი.

დადიოდა გაბოროტებული, რადგან არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ კოლექტიური ფორმის ცხოვრება გაიმარჯვებდა ამ ქვეყნად და კერძო საკუთრება ჩაბარდებოდა წარსულს.

შემარიას მთელი თავისი არსებით სწამდა, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, გამოჩნდებოდა რომელიღაც მადლიერი ქარი, რომელიც შორს გასტყროცნიდა ამ უსიამოვნო „ხუხულას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დრო მიდიოდა, კოლექტივი ძლიერდებოდა, ხოლო შემარიას გული იკსებოდა ბოლმით და შხამით.

სახლში თავის ჯავრს იყრიდა ხოლმე — ცოლზე და ძმაზე.

სალოცავში კიდევ — არონ კრიხელზე.

არონ კრიხელმა ამ ბოლო დროს ძალიან უმატა ბუზღუნს:

— შამაშობა ვერ არჩენს ჩემს ცოლშვილს. შენ დამღუპე, კოლექტივიდან შენს გამო გამომრიცხეს, თორემ ეხლა რა მიჭირდა. საუკეთესო მოსავალი მოსვლიათ და მთელი წლის სარჩო გაუნაწილებიათ.

— მერე რა გნებავს, მათხოვარო? — ეკითხებოდა შემარია ბრაზით.

— იქნება ერთი ოცი მანეთი მომაშველო, ცოლშვილს უყიდო რამე . .

შემარია მოჰყვებოდა გინებას. არავინ იცოდა თუ წინედაც, მის ლექსიკონში იყო ამდენი შხამიანი სიტყვა.

მაგრამ არონ კრიხელი მიუხედავათ ამისა — დაჟინებით ითხოვდა ოც მანეთს. ითხოვდა. იცოდა: მიიღებდა.

იყო ერთი უთქმელი საგანი, რომელიც თავისთავად იგულისხმებოდა.

ეს იყო ამ ორის საიდუმლო.

შემარია იგინებოდა, მაგრამ ხანძარის შემდეგ მაინც ეშინოდა არონისა, რომელიც „როგორც ლატაკი სანდო არ იყო.“

არონმა მიიღო ოცი მანეთი.

და შემარია სამართლიანად ღელავდა. იცოდა, რომ ეს იყო მხოლოდ პირველი ოცი მანეთი, მაგრამ არა — უკანასკნელი.

თავი ჯარასავით ტრიალებდა და მუდამ ელანდებოდა: არონი, მიშაელი, კოლექტივი.

ახრჩობდენ ფიქრები, ეჭვები, გეგმები.

იცოდა, რომ თევზი უნდა აყროლებულიყო თავიდან.
და ერთ საღამოს გადასწყვიტა.
ეს იყო ყარბითის ლოცვის დროს.
თებაზე[1]) იდგა შამაში არონ კრიხელი, რომელიც აცნობებდა მორწმუნეებს, რომ ამაღამიდან იწყებოდა სელიხოთის ლოცვები.
უცნაურმა გრძნობამ გაუელვა შემარიას თვალებში და არონს ჩუმად ჩასჩურჩულა:
— ნაყარბითევს სახლში დაგიცდი.
არონმა იშოვა დრო, მოაგონა ცოლშვილის გაჭივრება და თავისი მოთხოვნილება ამ ქამად ერთი თუმნით განსაზღვრა.
— ჰა, ხეთქე, მხოლოდ არ დაიგვიანო.
გადასცა ჩუმად და გამოვიდა გარედ.
ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით და შემარიას მოეჩვენა, რომ ერთი მათგანი მას უცინოდა.

* * *

რუთსა და აბიშაის დიდი ხანია ეძინათ.
არ ეძინა შემარიას.
შემარია და არონი ჩაკეტილი იყვნენ პატარა ოთახში.
უცქერდენ ერთმანეთს.
ზომავდენ ერთმანეთს.
ეშინოდათ ერთმანეთისა.
შემარია ლაპარაკობდა ალელვებით, მაგრამ მისი სიტყვები უფრო დამაჯერებელი იყო, ვინაიდან მას ჰქონდა ფული.
სინათლე საგრძნობლად ჩაწეული იყო ოთახში და ლაპარაკობდენ თითქმის ჩურჩულით.
ხშირი იყო პაუზები.
— მაშ შენ ამბობ, რომ იმათ გადაწყვიტეს ჩემს დუქნებში თავიანთი საწყობი მოაწყონ?.. ძალიან კარგი...

[1]) თება—სამლოცველო ტრიბუნა.

თუ დასცალდათ მალე სახლებშიაც შემომეჭრებიან.. მალე ცოლსაც წამართმევენ... მალე ბულვარის ტელეფონის ბოძზედაც ჩამომახრჩობენ.

— ცუდი დრო დადგა, შემარია.

— რას იზამ, თორის სიტყვა უნდა დავაყენოთ. თორაში სწერია: „აბა ლეარგეხა — აშქემ ვეარგეუ“. ხომ გესმის, რას ნიშნავს? არა? ეს ნიშნავს იმას, რომ ვინმე თუ მოდის შენს მოსაკლავად დაასწარი და მოჰკალიო.

— ალბად ეს არის სწორედ კლასობრივი ბრძოლა — მიშაელი რომ ლაპარაკობს ხოლმე ასე ხშირად კრებებზე.

— კლასობრივი ბრძოლა! მე იმას ვაჩვენებ ბრძოლას. ამალამვე გავასწორებთ საბოლოო ანგარიშს! მერე ვნახავთ უმაგისოთ რას იზამენ დანარჩენი თხები. რა ურქმევიათ? წინსვლა? დასჭირდებათ გადაარქვან — „უკანსვლა“.

შემარია წამოდგა, მიუახლოვდა არონს და მხარზე ხელი დაადო:

— ხომ გწამს, რომ მიშაელი არის ჩვენი რჯულისა და ხალხის გამყიდველი, რომ ჩვენს ხალხს მაგისთანა მტერი არ ჰყოლია?

არონმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მაშ შენ ამალამ უნდა მოჰკლა მიშაელი.

არონი გაფითრდა და ენა დაება.

— რა გეშინია შე ჩერჩეტო? არავინ არ გაიგებს. ეს საქმე ისეც სუფთად ჩაივლის, როგორც შარშან. მე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. ყოველი ჩემი ნაბიჯი წინასწარ გამოზომილია.

არონმა ძლივს წაილულლულა:

— ჩემს სიცოცხლეში კაცისთვის ხელი არ მიხლია. ნუ დაიდებ ჩემი და ჩემი ცოლშვილის საცოდაობას, ნუ გამხვევ მაგ საქმეში.

შემარია აინთო სახეზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი შარშანდელი პირობა დაგავიწყდა? რამდენი ნისია შეგარჩინე, რამდენი სხვა ფულიც მოგეცი. ეხლაც კარგად დაგასაჩუქრებ. მიშაელს რომ მოჰკლავ, ორას მანეთს მოგცემ.

არონი ჩუმად იყო. შემარიამ მისი სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიიღო და განაგრძო:

— გეგმა სულ უბრალოა. ეხლა ღამის თორმეტია. ეს უნდა მოხდეს სამი საათის შემდეგ, როდესაც ჩამოივლი სელიხოთისათვის. ერთხელ ორჯერ დაიძახებ აგრეთვე „მიშაელ სელიხოთი“ და შემდეგ შეიპარები მიშაელის ეზოში. მიშაელს ყოველთვის აივანზე სძინავს და მაგარი ძილი იცის. სახლის კარები ყოველთვის გამოხურული აქვს და შიგ მყოფნი ვერაფერს ვერ გაიგებენ. შენ გექნება უბეში ხანჯალი, რომელსაც ჩაჭრავ რამოდენიმეჯერ მუცელში და თავში, შემდეგ თითქოს არაფერი მომხდარა, გადახვალ სხვა ქუჩაზე და დაიწყებ ისევ ხალხის გაღვიძებას სელიხოთისათვის. ხანჯალი კი უნდა დააგდო მიშაელის აივანზე. აი ხანჯალიც.

ამ სიტყვებთან ერთად შემარიამ გამოიღო მაგიდის ყუთი, ვამოიღო ვერცხლის ტარიანი ხანჯალი და გადასცა არონს.

არონს ხანჯლის დანახვაზე გააჟრჟოლა და შემარიამ ჩუმად გაიღიმა.

ხმის ამოუღებლად წამოდგა არონი, ხანჯალი ჩოხის უბეში ამოიდო და კარებისაკენ გაეშურა.

— სელიხოთის დროს უნდა მოხდეს ეს ამბავი—უთხრა შემარიამ და არონმაც მისდა უნებურად გაიმეორა:

— სელიხოთის დროს...

* * *

გეგმა გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ეს შეეძლო არონს წარმოედგინა და ეფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ უბანში ორ ადამიანს არ სძინებია მთელი ღამის განმავლობაში: შემარია შაფთოშვილს და არონ კრიხელს.

სამი საათი რჩებოდა გეგმის შესრულებამდე.

არონმა რატომლაც გადახედა თავის მძინარე ცოლშვილს და ცრემლები წამოუვიდა.

ვერ გაუძლო მათ ცქერას და გამოვიდა გარეთ.

სასტიკად გააოცა, როდესაც ველარ დაინახა ცა მოკაშკაშე ვარსკვლავებით.

შავი ღრუბელი მოიწევდა სამხრეთიდან უჩვეულო სიჩქარით და უჩინარ სიბნელეს ამყარებდა მთელ არემარეში.

უბეში ხანჯალს ჰგრძნობდა.

უსიამოვნო გრძნობა გულს უსერავდა.

ძლივს მოუყარა ფიქრებს თავი:

„რა დაუშავებია ჩემთვის მიშაელს? კოლექტივიდან გამომრიცხა... მაგრამ ვინ ამაცდინა სწორ გზას? შემარიამ. ოჰ, შემარია, შემარია... შენ რომ არა, მეც ხომ ეხლა პატიოსანი კოლმეურნე ვიქნებოდი“.

თვალწინ წამოუდგა მიშაელის ცისფერი თვალები.

„ალალ მართალი ბიჭია... თვითონ ობოლი, მაგრამ ღარიბების მოამაგეა... ბევრი კარგი მიუძღვის ჩვენი ხალხისათვის“.

და უცბად შეეკითხა თავის თავს:

„სადაური კაცის მკვლელი ხარ, არონ კრიხელო? ქათმის სისხლს არ შეგიძლია უცქირო დამშვიდებით და შენ შესძლებ მიშაელის მოკვლას?“

და თვითონვე უპასუხა:

„არა. შენ ამას არ ჩაიდენ. არც შეგიძლია და არც უნდა ჩაიდინო. პირიქით, გაალვიძე მიშაელი და გულახდილად უთხარი ყველაფერი... უთხარი მოკვლის ამბავი... უთხარი შარშანდელი ცეცხლის ამბავი... ის გულკეთილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველაფერს გაპატივებს... შეიძლება, ვინ იცის... დასთანხმდეს ხელახლად კოლექტივში მიგიღოს"...

გამოერკვა. არ იცოდა რომელი საათი იყო და მოულოდნელად არემარე გააყრუა მისმა ძახილმა:

— სე-ლი-ხო-თი ლოც-ვა!

— ჯა-მა-ა-თო ლოც-ვა!

— ხალ-ხო ლოც-ვა!

— მორ-დე-ხა ლოც-ვა! ხა-ნა-ნი-ა ლოც-ვა! შე-მა-რი-ა ლოც-ვა-ა-ა-ა . . . . .

პირველად შემარიამ გაიგონა მისი ძახილი და გიჟივით წამოვარდა თავის სკამიდან, რომელშიდაც იჯდა და გულის ფანცქალით მოელოდა ამ ხმას. დახედა საათს და გაუკვირდა: ჯერ კიდევ ორი არ იყო.

„რამ გააგიჟა ის ოჯახდასაქცევი" — გაიფიქრა, მაგრამ იქავ მოაგონდა, რომ ალარც ერთი წუთის დაყოვნება არ შეიძლებოდა, სასწრაფოდ შევარდა იმ ოთახში, სადაც მის ძმას ეძინა და წამოაგდო ლოგინიდან.

— ჩქარა აბიშაი!

— უკვე?

— ჰო ჩქარა. დაიჭი კომბალი და სდიე ფეხდაფეხ. თუ არ მოჰკლას, იმის აივანთან დაუშვი თავში არონს ისე მაგრად, რომ გონება დაჰკარგოს. ხანჯალი მარჯვენა უბეში აქვს, საჩქაროდ ამოაძრე და ბოლოც მოუღე. შემდეგ ხანჯალი დააგდე მის გვერდით, შენ გავარდი სხვა ქუჩაზე და გამოცვლილი ხმით დაიკივლე ისე, როგორც მე დაგარიგე.

„ეხლა კი — ორივეს გადავრჩები" — გაუელვა სიხარულით შემარიას.

აბიშაი გამოეხვია დახეულ ფარაჯაში, ხელში აიღო კომბალი და გავარდა. კიბე ჩუმად ჩაირბინა, მხოლოდ ჭიშკარი არ გამოალო, აცოცდა გალავანზე და ისე გადაკიდა ქუჩის მეორე მხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემარია იდგა ფანჯარასთან და ცდილობდა რამის გარჩევას, მაგრამ ამაოდ: საშინელი სიბნელე იდგა.

არონი კი ამ დროს უახლოვდებოდა მიშაელის ქოხს, რომლის დროსაც ერთხელ ორჯელ დაიძახა შეპირებისამებრ:

— მიშაელ სელიხოთი, ლოცვა!

და მიუახლოვდა აივანს.

მიშაელის სახის გარჩევა არ შეიძლებოდა, მაგრამ საგრძნობი იყო სწორი სუნთქვა და ღრმა ძილი.

— მიშაელ! მიშაელ!—დაუწყო ნელა გაღვიძება არონმა.

ვერც კი ჭგრძნობდა, რომ ამ დროს მის უკან იდგა საეჭვო ჩრდილი, რომელიც მალე დარწმუნდა იმაში, რომ არონი მხოლოდ აღვიძებდა მიშაელს.

აბიშაიმ თავის მსხვერპლს მთელი თავისი ძალღონით დასცხო თავში უზარმაზარი კომბალი.

არონმა საზარლად შეჰკივლა და გონება დაკარგული წაიქცა პირალმა აივნის მოაჯირზე. ამის შემდეგ ხანჯლის ჭრილობა მას აღარც კი უგრძნია.

არონის კივილზე გაეღვიძა მიშაელს, რომელიც საჩქაროდ წამოვარდა და დაეტაკა არონის უსულო სახეს.

მიშაელი ჯერ ვერც გამორკვეულიყო, თუ რა მოხდა, რომ ამ დროს მას მოესმა ვიღაცას შორეული ხმა:

— კაცი მოჰკლეს! მოჰკ...ლეს...

ამ ხმას უკვე მიჰყვა შემდეგ:

— მიშაელმა მოჰკლა შამაში!

— ჯამაათო, შამაში მოგვიკლეს!

— არონ კრიხელი მოუკლავთ!

— კოლექტივის თავმჯდომარეს კაცი მოუკლავს!

— სინათლე, სინათლე, ჩქარა!

მიშაელის აივანთან ელვის სისწრაფით შეგროვდა სალოცავისაკენ მიმავალი ხალხი, რომელთაც სინათლის შუქზე წარმოუდგათ საშინელი სურათი:

მიშაელ თეთრუაშვილი იდგა გასისხლიანებული და ცალი ხელით ღრმად შემოხვეოდა აროონ კრიხელის უსულო სახეს.

მოულოდნელობისაგან დაბნეული მიშაელი ხმას ვერ იღებდა.

აოცებდა მამამისეული ვერცხლის ტარიანი ხანჯალი, დასისხლული ლაქებით, რომელიც ეგდო მის ფეხთქვეშ.

ხაიმი და ზილფა შეშინებული იცქირებოდენ აქეთ იქით.

აირია ყველაფერი.

ვილაცა ჰკიოდა, ვილაცა სტიროდა, ვილაცა ყვიროდა.

და თითქოს ბურანში, ესმოდა მიშაელს, რომ ერთი უხსნიდა მეორეს მომხდარ ამბავს შემდეგნაირად:

— თურმე იმისთვის მოუკლავს, რაზე მაღვიძებ, ხომ იცი, რჯული აღარა მწამსო...

* * *

გათენდა.

ჯამაათმა დაჰკარგა შამაში.

კოლექტივის თავმჯდომარემ ციხეში ამოჰყო თავი.

5

გამომძიებლის კამერაში მიშაელი გაოცებული იჯდა და სურდა გარკვეულიყო განვლილი ღამის ამბებში. მაგრამ ყველაფერი ისე უცბად მოხდა, რომ უჭირდა აზრებისათვის თავის მოყრა.

თავზე ადგა გამომძიებელი, საშუალო ხნის კაცი, და როგორც მიშაელს ეჩვენებოდა—ადამიანი ტურას თვალებით და მყინვარივით ცივი.

მიშაელი ღელავდა: რა საჭირო იყო ამდენი საკითხები, რა კავშირი ჰქონდათ ყველა ამ საკითხებს მასთან. განა ცხადი არ იყო, რომ მას ერქვა მიშაელ თეთრუაშვილი, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიული, წინედ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული...

— ნუ ღელავთ, მოქალაქე თეთრუაშვილო. თუ გნებავთ მე თქვენ საშუალებას მოგცემთ თქვენით მომითხროთ დაწვრილებით თუ რა პირობებში მოჰკალით მოქ. არონ კრიხელი.

— მე არავინაც არ მომიკლავს. სიცრუეა.

— მაშ თქვენ კატეგორიულად უარჰყოფთ თქვენს მონაწილეობას ამ საქმეში?

— კატეგორიულად უარვყოფ.

— მოხდა თუ არა მკვლელობა თქვენს აივანზე?

— როგორც ჩანს.

— ხალხმა მოგისწროთ თუ არა ახალი მკვლელობის დროს?

— როგორც ჩანს.

— გქონდათ თუ არა ხელები გასისხლიანებული?

— როგორც ჩანს.

— თავი დაანებეთ ამ სულელურ პასუხს. გქონდათ თუ არა ხელები შემოხვეული მოკლულის გვამზე?

— არ მახსოვს.

მაშინ გამომძიებელმა გახსნა შკაფი, საიდანაც გადმოიღო ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი.

— იცნობთ თუ არა თქვენ ამ ვერცხლის ტარიან ხანჯალს?

— ვიცნობ. დედაჩემი ამბობდა, რომ მამაჩემი ატარებდა მას ახალგაზრდობაში. ერთი წელიწადია ეს ხანჯალი თვალით არ მინახავს.

— გირჩევთ, თქვენით აღიაროთ სიმართლე. უტყუარ ფაქტებს თქვენ ვერ გაექცევით.

— მე არ მჩვევია სიცრუე.

— რისთვის მოვიდა თქვენთან განსვენებული?

— არ ვიცი.

— წუხელის ხომ არ დაწყებულა ებრაელთა ღამის ლოცვები, რომელსაც ეძახიან „სელიხოთს?"

— არ ვიცი წელს როდის უნდა დაწყებულიყო, მხოლოდ დაახლოებით იგი ხდება ხოლმე აგვისტოს ბოლოში ან სექტემბერში.

— თქვენ არ გითქვამთ წუხელის განსვენებულისათვის: რაზე მაღვიძებ, ხომ იცი, რჯული აღარა მწამსო?

— პროვოკაციაა.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ განსვენებულთან?

— მაინც და მაინც არ მქონდა კარგი. საერთო კრების დადგენილებით, მე იგი გამოვრიცხე კოლექტივიდან მისი სიზარმაცისა და გამხრწნელი მოქმედებისათვის.

— დიახ, დიახ, ასე. განაგრძეთ შემდეგ.

— რა შემდეგ. მე ის შემდეგ იშვიათად შემხვედრია.

— წუხელის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუხელის რა მოხდა ეხლაც არ ვიცი. მე მეძინა ჩემს აივანზე. ნაშუალამევი იყო. ჩემმესმა ყურთან ახლოს კაცის კივილი. სიბნელის გამო ვერაფერი ვერ გავარჩიე და როდესაც წამოვდექი, ხელში შემრჩა მოკლული, რომლის ვინაობა გავიგე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხმა დაიწყო ყვირილი.

— სხვა არაფერი იცით ამ საქმეში?

— არაფერი.

— აბა ვისი მოკლული უნდა იყოს თქვენის აზრით?

— რა ვიცი ვისი მოკლულია.. შეიძლება, ვინ იცის, ჩვენი კლასობრივი მტრების საქმეც იყოს.

— ლათაიებს თავი დაანებეთ, მოქალაქე თეთრუაშვილო. საბჭოთა მართლმსაჯულებას თქვენ თვალებს ვერ აუხვევთ. დღის სინათლეზე უფრო ნათელია, რომ მკვლელობა თქვენი ჩადენილია.

— გამომძიებელო! მე კაცის მკვლელი არა ვარ!

— კმარა! გაიყვანეთ...

* * *

იჯდა განმარტოებულ საკანში და ჰფიქრობდა:

„მე ეხლა ვარ სოციალურად საშიში ელემენტი. რა უცნაური ამბები ხდება ამ ქვეყანაზე, რა დამემართება თუ მალე არ დამტკიცდა ჩემი სიმართლე? ალბად უნდა ვიჯდე სულ ციხეში. რას იზამს კოლექტივი? ნუ თუ კოლექტივსაც სჯერა, რომ მე კაცი მოვკალი? ო, როგორ უხარია ალბად შემარიას. რა ვქნა, ეს რა მომივიდა, რა უცნაური ამბავი მოხდა წუხელის? რას იზამენ უჩემოდ ბავშვები? რას ამბობს ნეტავ სერგო იაშვილი?“

და მოულოდნელად საკანში მის გახსენებისთანავე თავს წამოადგა სერგო იაშვილი.

სერგო შემოვიდა არა როგორც ყოველთვის, იგი შემოვიდა ვილაცა სხვა ადამიანის ქურქში, შორეული, მტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა გიქნია? რამდენ იმედებს ამაყარებდა პარტია და ხელისუფლება შენზე? შენ კი—შენი საზიზღარი მოქმედებით, სახელი გაუტეხე პარტიას, ხელისუფლებას, მშრომელ ებრაელობას და კოლექტივსაც. სუყველანი ნიშნის მოგებით ლაპარაკობენ, რომ თქვენი დაწინაურებული კაცი—ბანდიტი გამოდგაო. მითხარი, მიშაელ თეთრუაშვილო, ამას ველოდი შენგან? ამდენი ხანი იმისათვის თავს გევლებოდი და გაწინაურებდი, რომ კაცის მკვლელობა დაგეწყო?

— კმარა, ამხანაგო სერგო. მართალია მე ბევრით ვარ დავალებული შენგან. ჩემი ძველი ცხოვრების გზა უარვყავი და ახალ გზაზე შევდექი მხოლოდ შენი დახმარებით. შევისწავლე ბევრი რამ და ახალ ქვეყანას გავეცანი შენის წყალობით, მაგრამ ასე თუ ისე, მე არ მინდა დავკარგო ჩემი ღირსება. მე ეხლა შეგნებული ელემენტი ვარ და ვინც არ უნდა იყო შენ, ნებას არ მოგცემ ჩემი შეურაცყოფისას. ნუ მწამებთ ცილს, მე არა ვარ კაცის მკვლელი. მე არავინ არ მომიკლავს.

— მე ეხლახანს გავეცანი გამომძიებელთან ყველა ფაქტებს და საბუთებს. გამომძიებელი უკვე დასკვნას სწერს. ყველაფერი ლაპარაკობს შენს საწინააღმდეგოდ. მალე წარსდგები სასამართლოს წინაშე. გრძნობ თუ არა, როამ შენი მოქმედებით ლახვარი ჩაეცი ებრაელთა კოლმეურნეობის საქმეს?

— მე არ მიმიძღვის არავითარი ცუდი. ხოლო თუ სერგო იაშვილმაც დაჰკარგა ნდობა ჩემსდამი, თუ ისიც არ მიჯერის—მაშინ ჯანდაბას ყველაფერი. სიცოცხლეც არა ღირს.

ამ სიტყვებმა ცოტაოდნად მოალბეს სერგოს გული.

— თუ თავს არა გრძნობ დამნაშავედ, მაშინ რატომ არ ცდილობ დაამტკიცო შენი სიმართლე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რითი დავამტკიცო, რა ვქნა? განა მე შემიძლია უარვჰყო ის უტყუარი ფაქტები, რომლებიც მე წამომიყენეს? განა მოკლული არ ნახეს ჩემს მკლავებზე და ჩემს აივანზე? განა იგი არ იყო მოკლული ჩვენი ოჯახის ხანჯლით? საბუთები ლაპარაკობენ ჩემს წინააღმდეგ, ხოლო თავის გასამართლებლად არაფერი მაქვს გარდა თვით სიმართლისა: მე არა ვარ მკვლელი, არა, არა.

სერგო გამოვიდა მიშაელის საკანიდან. გულზე ცოტა მოეშვა, სადღაც იფეთქა იმედმა, რომ მიშაელი უდანაშაულოა ამ საქმეში, მაგრამ როგორ დაამტკიცოს მისი სიმართლე, როდესაც ყველა საბუთები ლაპარაკობენ მის წინააღმდეგ?

* * *

თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა გამგეობის წევრს ნათან ხახიაშვილს.

„წინსვლა“ მაინც ღელავდა, შფოთავდა.

წევრები მუშაობდენ, მაგრამ უხალისოდ. დროგამოშვებით აღელვებისა და პროტესტის ხმები გაისმოდა თითქმის ყოველი წევრიდან.

— შეუძლებელი ამბავია. ვერ დავიჯერებ.

— ჩვენი თავმჯდომარე იშვიათი ახალგაზრდაა.

— ისრაელებში მაგის ტოლი არ არის.

— ჩვენს თავმჯდომარეს არ შეეძლო კაცი მოეკლა!

— საზიზღარი ჭორია. რა ინტერესი ჰქონდა მას უბედური არონ კრიხელისა?

— აქ რაღაც სხვანაირადაა საქმე.

— უცნაური ამბები ხდება ჩვენში და ყველაფერი რაღაც საიდუმლოებით არის მოცული. შარშან ხანძარი გაგვიჩინეს და კაცს ვერ მიაგნეს. წელს არონ კრიხელი მოჰკლეს და მაინცდამაინც ჩვენი თავმჯდომარე გახვიეს შიგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გახვიეს რომელია? მთელმა ხალხმა მიუსწრო მოკვლის დროს. გამომძიებელმაც დაამტკიცა, რომ ეს მკვლელობა თქვენი თავმჯდომარის მიერაა ჩადენილი.

მოიხედეს. ამას ლაპარაკობდა კოლექტივის არა წევრი.

სარა ბინიაშვილი ბრაზით აინთო:

— უ, საზიზღარი, შემარიას აგენტი ...

ხოლო თავმჯდომარის მოადგილემ ასე მიმართა:

— წადი და გადაეცი შემარიას კოლექტივის სახელით, რომ თუმცა მიშაელი ჩავარდა, მაგრამ კოლექტივს ჩვენ მაინც არ დავარღვევთ, შემარიას ეინაზე კიდევ უკეთ ვიმუშავებთ და კოლექტივს უფრო განვამტკიცებთ.

როდესაც მოიცილეს თავიდან უსიამოვნო სტუმარი, მაშინ ისევ განაგრძეს:

— ორი დღე გავიდა და არონ კრიხელს ჯერ კიდევ არ ასაფლავებენ.

— ეს იმიტომ, ექიმმა ექსპერტიზა უნდა გააკეთოსო.

— მკვდარს მაინც რაღას აწვალებენ?

— მე მკვდარს კი არ ვჩივი, ცოცხალს ვჩივი. ძმებო! გჯერათ ვისმე, რომ მიშაელი კაცის მკვლელია?

— არავის—ერთხმად უპასუხეს ამხანაგებმა.

— უბედურებაც იმაშია, რომ ის არაა მკვლელი და შარშანდელივით ვერაფერს ვერ გავხდებით.

— შარშანდელ და წრევანდელ საქმეს ერთმანეთთან კავშირი აქვს.

— ვინ იცის ...

— საცოდავი მიშაელი, ზის და იტანჯება უდანაშაულოდ. მაგის ეზოში რო არ მომხდარიყო მკვლელობა, კაცი კიდევ რაღაცას გააკეთებდა.

— მერე კიდევ, მამამისის ხანჯლით ...

უმეტესობამ შეამჩნია, რომ ბებერ იონას უცნაური ცვლილება დაეტყო ამ დროს სახეზე. ჯერ გაფითრდა და შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ თვალები გაუბრწყინდა ისე, რომ მათში შეიძლებოდა ცრემლების დანახვა. საჩქაროდ მიუახლოვდა უკანას კნელი წანადადების მთქმელს და შეეკითხა:

— ის ხანჯალი ვერცხლის ტარიანი იყო?

— ჰო, ვერცხლის ტარიანი, სწორედ.

— სად არის ეხლა ის ხანჯალი?

— გამომძიებელს აქვს შენახული.

— არ შეიძლება იმ ხანჯლის ნახვა?

— რაში გინდა ხანჯალი, ბებერო იონა?

— ძმებო! ამხანაგებო! ჩქარა, ირბინეთ ჩემთან! მიშაელი არაა მკვლელი. მე ვიცი მკვლელი.

და ბებერმა იონამ მოუსვა თავისი მოხუცი ფეხებით.

კოლექტივის წევრებმა მიანებეს თავი მუშაობას და გამოედევნენ მოხუცს, რომელსაც ამ შემთხვევაში გამოება ფეხებში ახალგაზდური ძალა, რის გამოც იგი არაჩვეულებრივი სიჩქარით მიაქროლებდა თავის დაბერებულ სხეულს.

* * *

საექიმო ექსპერტიზის დასკვნით, არონის მკვლელობაში გარდა ხანჯლისა ნახმარი იყო აგრეთვე დიდი ჯოხი, რომლითაც თავი ჰქონდა გინსვენებულს დაქექილი.

ასეთი „დიდი ჯოხის“ კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

სერგოსათვის ეს იყო პირველი ბუნდოვანი საბუთი მიშაელის სასარგებლოდ, რადგან იმავე დასკვნაში იყო თქმული, რომ დაკვრა მოხდა უკანიდან. არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს ორივე მხრიდან მდგარიყო მიშაელი.

იგი ჩამოდიოდა გამომძიებლის კამერიდან, რომ ამ დროს მოესმა ხმაურობა და უცნაური მოძრაობა ქუჩაში.

გაიხედა პირდაპირ და გაარჩია კოლექტივის წევრები, რომელთაც გაჩქარებული წინ მოუძღოდათ ბებერი იონა.

— ამხანაგ სერგოს სალამი — შესძახა იონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სალამი ამხანაგებს! რა ამბავია?

— მიშაელი მართალია, მიშაელი არაა დამნაშავე. გაანთავისუფლეთ მიშაელი—ამბობდა ბებერი იონა.

— გაანთავისუფლეთ მიშაელი—ბანს აძლევდენ სხვებიც, შეუგნებლად.

— კი მაგრამ ამხანაგო იონა, ასე ზეპირად როგორ შეიძლება? აქ საბუთია საჭირო.

— საბუთი მე მაქვს. მაჩვენეთ ხანჯალი.

სერგო იაშვილმა შეიყვანა ბებერი იონა გამომძიებლის კამერაში.

გამომძიებელმა უჩვენა ხანჯალი.

გულის ფანცქალით ელოდენ რას იტყოდა მოხუცი მოწმე

— ეს არის... — დააადასტურა.

— რაშია საქმე, აგვიხსენი — მიმართა გამომძიებელმა.

— ერთი წლის წინეთ მე ვიყავი სალოცავის შამაში. ო ველ ნაირად კლანჭებში ვყავდი ჩაჭერილი. მომაპარვინა ს ხანჯალი. რა ვიცოდი, რისთვის უნდოდა. დააპატიმრეთ, ეხლავე დააპატიმრეთ, დანარჩენი მერე გამოჩნდება, თითმის კივილით დაამთავრა ბებერმა იონამ.

— ვინ უნდა დავაპატიმროთ კაცო ალარ იტყვი?

— როგორ არ გესმით ვინ? შემარია შაფთოშვილი.

კიბე, აივანი და ფანჯარა გარშემორტყმული იყო კოლმეურნეებით. მათ ყური მოჰკრეს ბებერი იონას ლაპარაკს და სტიქიურად, მოულოდნელად შესძახეს:

— დააპატიმრეთ შემარია შაფთოშვილი!

— დააპატიმრეთ საჩქაროდ!

და შევარდენ გამომძიებლის ოთახში, სადაც განაგრძეს:

— იგი უძმოდ ამას ვერ მოახერხებდა!

— დაიჭირეთ ორივე ძმები!

— დააპატიმრეთ შაფთოშვილები!

— ერთხელ და სამუდამოდ გადაგვარჩინეთ მაგ სისხლის მწოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერი იონას გული მაგრად სცემდა. კოლმეურნეებს თვალები უბრწყინავდათ. სერგო იდგა ბედნიერებით გაბრუებული. საიდანლაც გაჩნდენ ხაიმი და ზილფა.

გამომძიებელი სწერდა დადგენილებას შემარიასა და მისი ძმის დაპატიმრების შესახებ.

* * *

— თქვენ გაიგონეთ, ბრალდებულო შაფთოშვილო, რაც სთქვა თქვენმა ძმამ. მოახლენეთ სასამართლოს, რისთვის მოჰკალით არონ კრიხელი?

— იმან ჩემი დავალებით შარშან დასწვა კოლექტივის შენობები.

— გეშინოდათ, რომ არ გაემხილეთ და ამიტომ გადასწყვიტეთ ორი კურდღელი დაგეჭირათ ერთად: ერთი მოგეკლათ, ხოლო მეორე — ციხეში ჩაგელპოთ, რის შემდეგაც კოლექტივი უნდა დარღვეულიყო, არა?

— დიახ, ასე ვფიქრობდი.

შურისძიების გრძნობით იყო ალვსილი კოლმეურნეთა თვალები.

სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

წინა რიგებში ისხდენ „წინსვლას“ წევრები. შუაში ჩაეჯინათ საყვარელი თავმჯდომარე მიშაელ თეთრუაშვილი, რომელსაც ამჟამად სიზმარივით ეჩვენებოდა თავს გადავლილი ამბები.

პროცესი იყო საზოგადოებრივ-საჩვენებელი.

ბრალდებულების დაკითხვის შემდეგ — მოწმეების დაკითხვა მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი.

დაიწყო მხარეთა კამათი.

ილაპარაკა საზოგადოებრივ ბრალმდებელმა სერგო იაშვილმა, რომელსაც დარბაზი უსმენდა არაჩვეულებრივი დაჭიმული ყურადღებით.

მის მოთხოვნას შემარიას უმაღლესი სასჯელით დასჯას და მთელი ქონების კონფისკაციას მთელი დარბაზი მჭუხარე ტაშით შეხვდა.

შემარიას ძმისათვის, რომელიც ამ საქმეში ასრულებდა ბრმა იარაღის როლს, არ სცნო მიზანშეწონილად უმაღლესი სასჯელის შეფარდება და მოითხოვა მისი რვა წლით იზოლაცია საქართველოს ფარგლებიდან გადასახლებით.

ილაპარაკეს აგრეთვე დამცველებმა, რომლებმაც მოითხოვეს სასჯელის დაახლოვებით შემსუბუქება.

შემარია იდგა გაყვითლებული. ციხეში წვერი გაზრდოდა, თვალს აღარ ჭუტავდა ჩვეულებრივად, ხოლო ტუჩებზე ლრმად აჩნდა კბილების ნაკვალევი.

აბიშაი უაზროდ იცქირებოდა აქეთ იქით.

პროცესი გრძელდებოდა მიუხედავად შელამებისა.

შემარიას აღარ აინტერესებდა პროცესის მსვლელობა და სურდა მიმხედარიყო, თუ როგორ მოხდა, რომ იგი დამარცხდა და „ახლად გამოჩეკილმა ბარტყმა“ გაიმარჯვა.

უცებ თვალი მოჰკრა მიშაელს; უნდოდა ეცქირა, მაგრამ ვერ შესძლო, ველარ გაუსწორა თვალი და სასამართლოსკენ მიბრუნდა.

სასამართლოს შემადგენლობა არაფერს კარგს არ უქადდა შემარიას. მათ სახეზე უკვე წაკითხული ჰქონდა უსიამოვნო განაჩენი.

დაენანა სიცოცხლე. მაგრამ იცოდა: წააგო.

ეგონა, რომ უკვე სიკვდილის პირას იდგა და ვიღაც შორი ქვეყნიდან მას ეუბნებოდა.

— ბრალდებულო შემარია შაფთოშვილო! ვიდრე სასამართლო გავიდოდეს განაჩენის გამოსატანად — გეძლევათ უკანასკნელი სიტყვა.

შემარია უსიამოვნოდ შეინძრა, თვალი მოავლო მთელ დარბაზს, რომელიც სმენად იყო გადაქცეული და ოდნავ გასაგონი ხმით, რომლითაც თვითვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი—ძლივს წარმოსთქვა:

— კოლექტივი იმარჯვებს.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 24.846/2